



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის  
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი  
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქრთამის  
აღებისათვის

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

გიორგი ლაშქარაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

ნუგზარ თევდორაძე

თბილისი

2021

## შინაარსი

ანოტაცია	-----
Annotation	-----
შესავალი	-----
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა	-----
თავი II. ქრთამის აღების ისტორიული მიმოხილვა	-----
2.1. მექრთამეობა ძველ ქართულ სამართალში	-----
2.2. მექრთამეობა საბჭოთა საქართველოს პერიოდის კანონმდებლობაში	-----
თავი III. ქრთამის აღების შემადგენლობა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით	-----
3.1. ქრთამის აღების ობიექტური შემადგენლობა	-----
3.2. ქრთამის აღების სუბიექტური შემადგენლობა	-----
3.3. ქრთამის აღების პროვოკაცია	-----
თავი IV. ქრთამის აღების გამიჯვნა მსგავსი შემადგენლობებისაგან	-----
4.1. ქრთამის აღების გამიჯვნა ზეგავლენით ვაჭრობისაგან	-----
4.2. ქრთამის აღების გამიჯვნა კანონით აკრძალული საჩუქრის მიღებისაგან	-----
თავი V. მექრთამეობა და კორუფციული დანაშაულები საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით	-----
6.1	
6.2	
თავი VI. კვლევის შედეგები	-----
დასკვნა	-----
გამოყენებული ლიტერატურა	-----

## ანოტაცია

სამაგისტრო თემა შეეხება სამოხელეო დანაშაულის ერთ - ერთი ისეთ პრობლემურ საკითხს, როგორცაა ქრთამის აღება. თემაში ხსენებული საკითხი განხილული მაქვს, როგორც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ასევე, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით.

თემა შედება შესავლისაგან, ექვსი თავისგან, ცხრა ქვეთავისგან და დასკვნისგან, რომელსაც ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

პირველ თავში საუბარია იმ ლიტერატურაზე, რომელიც გამოვიყენე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას. მეორე თავი შეეხება ქრთამის აღების ისტორიას, სადაც საუბარია, მექრთამეობაზე ძველ ქართულ სამართალში და მექრთამეობაზე საბჭოთა საქართველოს პერიოდის კანონმდებლობაში. მესამე თავში გაანალიზებულია მექრთამეობა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. განვიხილე ქრთამის აღების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობა, ასევე შევეხე ქრთამის აღების პროვოკაციას. მეოთხე თავი შეეხება ქრთამის აღების გამიჯვნას ისეთი დანაშაულობებისაგან, როგორცაა, ზეგავლენით ვაჭრობა და კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება. მეხუთე თავში საუბარია ქრთამის აღებაზე საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით. მეექვსე თავი შეეხება კვლევის შედეგებს. დასკვნაში შეჯამებული მაქვს თემაში განხილული საკითხები.

## **Annotation**

The main topic is one of the most problematic issues of official crime, such as bribery. I have discussed the issue mentioned in the topic, both according to the legislation of Georgia, as well as according to the legislation of foreign countries.

The topic consists of an introduction, six chapters, nine subsections, and a conclusion, accompanied by a list of used literature.

The first chapter discusses the literature I used when working on my master's thesis. The second chapter deals with the history of bribery, where we talk about bribery in the old Georgian law and bribery in the legislation of the Soviet Georgia period. The third chapter analyzes bribery according to the current legislation. I discussed the objective and subjective composition of bribery, as well as the provocation of bribery. Chapter 4 deals with the separation of bribery from crimes such as trafficking in influence and receiving a gift prohibited by law. The fifth chapter deals with bribery according to the legislation of foreign countries. The sixth chapter deals with the results of research. In the conclusion I have summarized the issues discussed in the topic.

## შესავალი

**კვლევის აქტუალურობა.** საკვლევი თემა აქტუალურია, რადგანაც კორუფცია პრობლემაა არა მხოლოდ ლოკალური, არამედ გლობალური მასშტაბითაც, მან შეიძინა ტრანსნაციონალური და სისტემური ხასიათი. კორუფცია გამოვიდა ნაციონალური საზღვრების ჩარჩოებიდან. კორუმპირებულთა საქმიანობამ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებშიც კი გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ჯანსაღ საერთაშორისო კონკურენციასა და საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირებს.

**კვლევის მიზანი.** კვლევის მიზანია ქრთამის აღების შემადგენლობის ანალიზი, მისი გამიჯვნა მსგავსი შემადგენლობებისაგან და საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის განხილვა მექრთამეობასთან დაკავშირებით.

**კვლევის ამოცანები.**

1. ქრთამის აღების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ანალიზი
2. ქრთამის აღების გამიჯვნა მსგავსი სამოხელეო დანაშაულებებისაგან
3. ქრთამის აღების შემადგენლობის ანალიზი საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით.

**კვლევის მეთოდოლოგია.** ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ისტორიული, ნორმატიული და შედარებითი მეთოდები. ისტორიული მეთოდი გამოვიყენე, ქრთამის აღების სამართლებრივი საფუძვლების განვითარების ისტორიულ ჭრილში ანალიზისას. ნორმატიული მეთოდი გამოვიყენე ქრთამის აღების შემადგენლობის ანალიზისას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით და მისი გამიჯვნისას მსგავსი შემადგენლობებისაგან, ასევე ქრთამის აღების პროვოკაციის პროვოკაციის განხილვისას. შედარებითი მეთოდი გამოვიყენე ქრთამის აღების განხილვისას საზღვარგარეთის კანონმდებლობის მიხედვით.

## თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული მაქვს როგორც, ქართველი ასევე, უცხოელი მეცნიერების შრომები, სადაც გაანალიზებულია ქრთამის აღებასთან დაკავშირებით არა ერთი პრობლემური საკითხი. სამაგისტრო ნაშრომის მეორე, მესამე და მეოთხე თავში, სადაც ყურადღება მაქვს გამახვილებული მექრთამეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორც ისტორიულ, ასევე, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ასევე მექრთამეობის გამიჯვნა მსგავსი შემადგენლობებისაგან ნორმატიულ მასალასთან ერთად გაანალიზებული მაქვს არაერთი ქართველი მეცნიერის შრომა მექრთამეობასთან დაკავშირებით, როგორებიც არიან - თ. ებრალიძე, მექრთამეობის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები; ლ. აბრამიშვილი, ქრთამი ძველ ქართულ სამართალში; ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი; ლ. სურგულაძე, საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორია; ჯ. ხეცურიანი, დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ; ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები და ასევე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი; თ.წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები; ვ. მაყაშვილი, გ. ტყემელიაძე, პასუხისმგებლობა მექრთამეობისთვის; რომელთა შრომებშიც საუბარია მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო ხერხებზე და შედეგებზე; მ.ლეკვეიშვილი, ნ.თოდუა, გ.მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I; გ.ღლონტი და სხვები (ავტორთა კოლექტივი), კორუფცია საქართველოში, კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი; თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები; ლ. ხარანაული, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი; გ.ნაჭყებია და სხვები (ავტორთა კოლექტივი) სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი; რაც შეეხება საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზისას ქრთამის აღებასთან და საერთოდ მექრთამეობის პრობლემასთან დაკავშირებით საზღვარგარეთის კანონმდებლობის მიხედვით, ქართველ მეცნიერებთან ერთად განვიხილე უცხოელი მეცნიერების შრომებიც რომელიც შეეხება ხსენებულ პრობლემას. უცხოელე მეცნიერების შრომებიდან გავეცანი და თემის ფარგლებში განხილული მაქვს - Andvig, J.C.; Todorov, B. Anti-Corruption in Public Procurement. Sofia: Center for the Study of Democracy; Ю. А. Кузнецов Силинский Ю. П. Хомутова А. В. Коррупция как социально-правовое явление; Strategy of United State of America 1999-2003; Why corruption matters understanding

causes, effects and how to address them Evidence paper on corruption January Nikolaichuk V. Corruption Prevention in US and Canada;

## თავი II. ქრთამის აღების ისტორიული მიმოხილვა

### 2.1 მექრთამეობა ძველ ქართულ სამართალში

მექრთამეობა ოდითგანვე უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა და მკაცრად ისჯებოდა. „ნუ მიიღებ ქრთამს“ ჯერ კიდევ მოსეს სამართლიდან მოდის.<sup>1</sup> „წყეულ იყავნ, რომელმან მოიღოს ქრთამი მოკვლად სულისა მართლისა, და თქუას ყოველმან ერმან: იყავნ“.<sup>2</sup>

მექრთამეობა საქართველოში ყოველთვის მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენდა. სულხან-საბა ორბელიანი თავის „სიტყვის კონაში“ ქრთამს „საცოდავ ძღვენს“ უწოდებს.<sup>3</sup> „საცოდავი“ ამ შემთხვევაში „ცოდვის“ მნიშვნელობით იხმარებოდა. ე.ი. ქრთამი „ცოდვის“ სანაცვლოდ მირთმეული ძღვენია. ქრთამის ამღებს მისი მიმცემის სასარგებლოდ ცოდვა - დანაშაული ან სხვა უზნეო ქმედება უნდა ჩაედინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სინამდვილეში, ადრეული საუკუნეებიდან დაწყებული თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე, სიტყვა „ქრთამი“ სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა. ის ფართოდ გამოიყენებოდა სამოქალაქო ვალდებულებით, პირად თუ სავაჭრო ურთიერთობებში კანონიერი სარგებლის, გასამრჯელოს, გადასახადის, პატივისცემის ნიშნად მირთმეული საჩუქრის და ა.შ. გამოსახატავად. ამგვარ სარგებელს ს.ს. ორბელიანი „უცოდველ ქრთამს“ უწოდებდა.<sup>4</sup> ქრთამად იწოდებოდა იჯარისა და ქირის ფასი, ნივთის ღირებულება, „საპატარძლოსათვის ფულად მისაცემი თანხა მზითვეთან ერთად“.<sup>5</sup>

ძველი ქართული სამართლის ძეგლები მოწმობენ, რომ ქართველი სჯულმდებლები მექრთამეობას ქვეყნის წინსვლის დამმუხრუჭებელ მოვლენად მიიჩნევდნენ და მკაცრად ებრძოდნენ. ქრთამის ქვეშ იგულისხმებოდა როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფთა მიერ უკანონო მატერიალური გასამრჯელოს მიღება, ასევე გასამრჯელოს მიღება დამნაშავისათვის თავდებად დადგომის, ცრუ ჩვენების მიცემის სანაცვლოდ და ა.შ. აღსანიშნავია, რომ

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ.1, მოსეს სამართალი, თბ., 1963, გვ.109

<sup>2</sup> იქვე, გვ. 125

<sup>3</sup> ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993, გვ.

<sup>4</sup> ლ. აბრამიშვილი, ქრთამი ძველ ქართულ სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2008, გვ. 12-19.

<sup>5</sup> ა. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986, გვ.

საქართველოში მოქმედი ეროვნული თუ უცხოური სამართლის ძეგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მექრთამე მოსამართლეთა წინააღმდეგ ბრძოლას.<sup>6</sup>

ძველად საქართველოში ქრთამი ეწოდებოდა თანამდებობაზე დასანიშნად აღებულ გადასახადსაც. მნიშვნელობა არ ჰქონდა პირს თავად სთავაზობდნენ სამსახურს, თუ თვითონ იყო სამსახურის მთხოვნელი. ორივე შემთხვევაში, ნებით თუ იძულებით სამსახურში მიღებული პირი იხდის გადასახადს - ქრთამს დამნიშვნელის სასარგებლოდ, ანუ დამნიშვნელს აძლევენ საჩუქარს, როგორც კანონიერ ძღვენს.<sup>7</sup>

ქართულ სინამდვილეში ძღვენის, საჩუქრის, იგივე ქრთამის მირთმევა ნებისმიერი საქმის გასარიგებლად არ ითვლებოდა უწესო საქციელად. პირიქით, ქრთამი კანონიერ გასამრჯელოს სახით მირთმეულ ძღვენს ნიშნავდა, რომლის ხმამალა და თავისუფლად აღიარება ძველ საქართველოში არც სამრახისი იყო და არც საშიში.

მექრთამეობის წინააღმდეგ მტკიცედ ბრძოლის მიუხედავად, ამ საშინელი სენის მთლიანად ამოძირკვა ისეთმა ძლიერმა ხელისუფალმაც კი ვერ შეძლო, როგორც დავით აღმაშენებელი იყო. ამას მოწმობს მის მიერ გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე დაწერილი ანდერძი შიო მღვიმის მონასტრისადმი, სადაც მეფე ქრთამს უმძიმეს დანაშაულად მიიჩნევს და ღმერთს ევედრება: მექრთამე, მეფიდან დაწყებული გლეხის ჩათვლით, “გონების, ცნობისა და ხედვისაგან ოხერ ყავო”.<sup>8</sup>

შეიძლება ვთქვათ, რომ ცნება „ქრთამი“ ჩვენს ენაში, დიდი ხნის განმავლობაში იხმარებოდა, როგორც დანაშაულებრივი ქმედების გახმომხატველი ტერმინი, ასევე, როგორც კანონიერი ძღვენი, საჩუქარი, კანონიერი საზღაური რაიმე საქმის გასაკეთებლად.

XVIII საუკუნის I მეოთხედში, ვახტანგ VI თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა სამართლის წიგნი, რომელიც ქართლის სამეფოსათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ იგი მალე მთელ საქართველოში გავრცელდა და „საქართველოს სამართლად“ იქცა.<sup>9</sup>

„საქართველოს სამართლად“ ქცეული ვახტანგ მეფის კანონთა კრებული მოქმედი სამართალი იყო XVIII საუკუნის I მეოთხედიდან, ვიდრე XIX საუკუნის I ნახევრის ჩათვლით. სჯულმდებელ მეფეს სამართლის წიგნის შემუშავება და მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობის დაწყება დასჭირდა იმიტომ, რომ მის დროინდელ ქართლში, და მამასადაამე, მთელ საქართველოში განუკითხაობა იყო გამეფებული.

<sup>6</sup> თ. ებრაღიძე, მექრთამეობის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, თბ., 2019, გვ. 269

<sup>7</sup> ლ. აბრამიშვილი, ქრთამი ძველ ქართულ სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2008, გვ. 12

<sup>8</sup> იქვე, გვ. 4-5.

<sup>9</sup> ის. დოლიძე, სამართალი ვახტანგ მეექვსისა, თბ., 1981, გვ. 179



ქვეყნის ეკონომიკურმა თუ ფიზიკურმა გაჭირვებამ უარყოფითად იმოქმედა საზოგადოების ზნეობრივ მხარეზე. განუკითხაობის ფონზე სამართალი აღარ სამართლობდა. ვისაც და როგორც უნდოდა, საქმეს ისე არჩევდა და წყვეტდა.<sup>10</sup>

წიგნში, ასეთი ნორმა გათვალისწინებული არ იქნებოდა, მოსამართლეს უნდა ეხელმძღვანელა კრებულში შეტანილი უცხო კანონმდებლობის ნორმებით. ვახტანგის სამართლის წიგნი მართლმსაჯულების მიზნებისა და პრინციპების გადმოცემით იწყება. იმ დროისათვის, მოსამართლისათვის დიდი მანკიერება იყო ქრთამის აღება.<sup>11</sup>

ვახტანგ მეექვსეს სამართლის წიგნში ქრთამის აღება, და მით საქმის გაკეთება დანაშაულად არის გამოცხადებული. ავტორს მექრთამეობა ღმერთის წინაშე ჩადენილ უდიდეს ცოდვად მიაჩნია. მართალია, ვახტანგ მეფეს თავის კანონთა კრებულში არ დაუკონკრეტებია თუ რა სასჯელით იქნებოდნენ დასჯილნი მექრთამე მოსამართლენი, სამართლის გამმრუდებელნი მსაჯულნი, მაგრამ უდავო კია, რომ დიდი სიფრთხილით შერჩეული მოსამართლენი, რომლებიც მეფის ნდობას და ღმერთის რწმენას არად ჩააგდებდნენ და მექრთამეობას მიჰყოფდნენ ხელს, სასჯელის გარეშე ვერ გადარჩებოდნენ, თუ რა თქმა უნდა, მოსამართლეთა მექრთამეობა მეფისა და საზოგადოებისათვის ცნობილი იქნებოდა.<sup>12</sup>

სამცხის სამთავროსათვის შედგენილი ბექასა და აღბუღას სამართალი, ცოტა ხანში, საქართველოს სხვა სამეფო სამთავროებშიც გავრცელდა. ამიტომ აღნიშნული კანონმდებლობით გათვალისწინებული იურიდიული ინსტიტუტები დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ, შუა საუკუნეების საქართველოს სხვა კუთხეებისათვისაც, რომელთა საზოგადოებრივი წყობილება ასევე ფეოდალური იყო. ბექა-აღბუღას სამართალმა დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ქართულ კანონმდებლობაზე. განსაკუთრებით, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნზე.<sup>13</sup>

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ბექა-აღბუღას სამართალმა დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ქართულ კანონმდებლობაზე. განსაკუთრებით, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნზე. XVIII საუკუნის დასაწყისში ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის დიდი ნაწილი, სათანადო რედაქციით სჯულმდებელმა მეფემ, მეექვსე წიგნად შეიტანა თავის სამართლის წიგნში და ამით მისი ნორმები XVIII საუკუნიდან მოყოლებული, დააკანონა, როგორც მოქმედი სამართალი.<sup>14</sup>

<sup>10</sup> თ. ებრალიძე, მექრთამეობის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, თბ., 2019, გვ. 270

<sup>11</sup> იქვე, გვ. 70

<sup>12</sup> ლ. აბრამიშვილი, ქრთამი ძველ ქართულ სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2008, გვ. 31

<sup>13</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ VI, თბ., 1982, გვ.108

<sup>14</sup> ლ. აბრამიშვილი, ქრთამი ძველ ქართულ სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2008, გვ. 12

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი ქრთამს წარმოგვიდგენს, როგორც დანაშაულებრივ კატეგორიას, რომელიც უფრო მძიმეა, ვიდრე დამნაშავეს მიერ ჩადენილი ნებისმიერი დანაშაული. მექრთამედ ცნობილ მოსამართლეებს სამართლის წიგნი აიძულებს მძიმე ორდალით, ადუღებულ წყლიან ქვაბიდან გავარვარებული რკინის ამოღებით, დაიცვან თავიანთი ღირსება და პატიოსნება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ თვალსაზრისითაც ანიჭებდა, რომ იგი ქრთამს წარმოგვიდგენს როგორც სისხლსამართლებრივ დანაშაულს, ასევე, როგორც გასამრჯელოს, საზღაურს შესრულებული სამუშაოსთვის, რაც ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ XIII-XIV საუკუნეებში ტერმინი „ქრთამი“ სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა და ის არ მოიცავდა მხოლოდ უკანონო ქმედებისათვის აღებულ „საცოდავი ძღვენის“ შინაარსს.<sup>15</sup>

ტერმინი ქრთამი, საზღაურის მნიშვნელობით არის ნახმარი. საზღაური კი შეიძლება ყოფილიყო, როგორც ნატურალური, ისე ფულადი სახის. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში, ისევე, როგორც სხვა სამართლის წიგნებში, საუბარია არა ზოგადად მექრთამე მოხელეებზე, არამედ, პირდაპირ მითითებულია, მექრთამე მოსამართლეებზე.<sup>16</sup>

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში, ისევე, როგორც სხვა სამართლის წიგნებში, საუბარია არა ზოგადად მექრთამე მოხელეებზე, არამედ, პირდაპირ მითითებულია, მექრთამე მოსამართლეებზე. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ მოსამართლე როგორც მეფისაგან ხელდასმული მოხელე, მეფის პოლიტიკის უშუალო გამტარებელი იყო. სადაო საკითხების სამართლიან გადაწყვეტაზე დიდად იქნებოდა და იყო კიდევ დამოკიდებული მეფის ავტორიტეტი, მისი ქვეყნის სოციალურპოლიტიკური მდგომარეობა. მართლმსაჯულება ის ერთ-ერთი ხელისუფლება იყო, რომელიც მეფეს ხელთ ეპყრა და, რომელიც მას ერთგული მოხელეების დახმარებით უნდა განეხორციელებია.<sup>17</sup>

ვახტანგ VI-ემ სამართლის წიგნთა კრებულში გააერთიანა სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი სამართლის ძეგლები. მათ შორისაა „ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტები“, რომელიც დართული აქვს „ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს“ და XIV საუკუნის გ. ბრწყინვალის, ანუ როგორც ვახტანგ VI აღნიშნავს „მეფეთა-მეფის გიორგის „ძეგლისდება“.<sup>18</sup>

სამართლის წიგნი ხაზს უსვამდა მოსამართლეთა სიჭკვიანეს და კანონების კარგ ცოდნას, მაგრამ საგანგებოდ მიუთითებდა მათ პატიოსნებაზე. სამართლის წიგნის ფრაგმენტებში თხოვნა-

<sup>15</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ VI, თბ, 1982, 109

<sup>16</sup> თ. ებრაღიძე, მექრთამეობის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, თბ., 2019, გვ. 270.

<sup>17</sup> ის. დოლიძე, სამართალი ვახტანგ მეექვსისა, თბ, 1981, გვ. 400

<sup>18</sup> იქვე, გვ. 401

ბრძანებად ისმის, რომ მოსამართლემ უსამართლო სიტყვა არ თქვას, მომჩივრებს კარგად მოუსმინოს, ღმერთისადმი შიში შეინარჩუნოს, საქმის გარჩევას ანგარიში არ გაუწიოს, არც მშობელს, არც ახლობელს, არც მტერს და არც მოყვარეს. ხათრი არავისი მოიღოს და, რაც მთავარია, „ქრთამის ქადებისათვის“ ე.ი. ქრთამის დაპირებისათვის, ანგარების, სიხარბის გამო სამართალს არ უღალატოს. მოსამართლე ვალდებული იყო პატიოსნად ემსახურა ღმერთის, მეფის და თავისი საქმის წინაშე. გაფრთხილების მკაცრი ტონი უთუოდ ასახული იქნებოდა იმ სასჯელებში, რომლებითაც დაისჯებოდნენ მექრთამე მოსამართლენი, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენამდე მოღწეულ სამართლის წიგნის ფრაგმენტებში სასჯელის აღმნიშვნელი ნორმები არ გვხვდება. მაგრამ, რაკი მექრთამეობას ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი დანაშაულად და სამრახის ქმედებად მიიჩნევდა, მეფისაგან ხელდასმული მექრთამე მოსამართლე, უღალატებდა რა მეფეს, მეფისგანვე იქნებოდა „ჩამომცრობილი“ და დაჯარიმებული, როგორც დიდი ცოდვის და დიდი დანაშაულის ჩამდენი პირი.<sup>19</sup>

## 2.2 მექრთამეობა საბჭოთა საქართველოს პერიოდის კანონმდებლობაში

საქართველოს კანონმდებლობა 1921 წლიდან ძირითადად ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ - საბჭოთა კავშირის კანონმდებლობის იდენტურად ვითარდებოდა. ამ მხრივ არც სისხლის სამართლის კანონმდებლობა წარმოადგენდა გამონაკლისს.

საქართველოს სსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში თანამდებობრივი დანაშაულები ცალკე, II თავში იყო გაერთიანებული. აქვე კანონმდებელმა განმარტა თანამდებობის პირის ცნება. 108-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, „თანამდებობის პირად იგულისხმება ის პირი, ვისაც უჭირავს მუდმივი ან დროებითი თანამდებობა ამა თუ იმ სახელმწიფო (საბჭოთა) დაწესებულებასა ან საწარმოში, აგრეთვე ორგანიზაციასა ან შენაერთში, რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს განსაზღვრული უფლება, მოვალეობა და რწმუნებულება სამეურნეო, საადმინისტრაციო, საგანმანათლებლო და სხვა საერთო-სახელმწიფოებრივი მიზნის განხორციელებისათვის“.<sup>20</sup>

ზემოხსენებულ თავში მოთავსებული იყო ისეთ დანაშაულთა შემადგენლობები, როგორცაა ხელისუფლების ბოროტად გამოყენება (მ. 108) და გადამეტება (მ. 109), მოსამართლის

<sup>19</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ VI, თბ., 1982, გვ. 110-111

<sup>20</sup> თ. ებრალიძე, მექრთამეობის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, თბ., 2019, გვ. 276.

მიერ ანგარებით ან სხვა პირადი მოსაზრებით უსამართლო განაჩენის დადგენა (მ. 114), სამსახურებრივი სიყალბე (მ. 119) და სხვ. ქრთამთან დაკავშირებით კოდექსის თავდაპირველ რედაქციაში ორი მუხლი არსებობდა, რომლებიც ითვალისწინებდნენ პასუხისმგებლობას ქრთამის აღება-მიცემისა (მ. 117) და ქრთამის პროვოკაციისათვის (მ. 118).<sup>21</sup>

ხსენებული კოდექსის 117-ე მუხლით ისჯებოდა „სახელმწიფო, საკავშირო ან საზოგადოებრივ სამსახურში მყოფი პირის მიერ, პირადად ან შუაკაცის შემწეობით, ამა თუ იმ სახით ქრთამის მიღება ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ისეთი მოქმედების შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის, რაც ამ პირის სამსახურის მოვალეობას შეადგენს“. მუხლის დისპოზიციაში სამსახურის მოვალეობაზე მითითება საკმაოდ ზღუდავდა ქმედების შემადგენლობის ფარგლებს. კანონის ტექსტის მიხედვით, პირს ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ისეთი ქმედება უნდა შეესრულებინა (ან თავი შეეკავებინა მისი შესრულებისაგან), რაც მის „სამსახურის მოვალეობას შეადგენდა“. თუმცა ანალოგიის არსებობის პირობებში ეს მოსამართლეს ხელს არ შეუშლიდა ამავე მუხლით გაესამართლებინა ისიც, ვინც ქრთამი ისეთი მოქმედების სანაცვლოდ მიიღო, რაც მის „სამსახურის მოვალეობას“ არ განეკუთვნებოდა, მაგრამ მას შეეძლო უზრუნველყო ამ მოქმედების განხორციელება თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით ან თუნდაც ქვემდგომი მოხელის მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ 117-ე მუხლში, სხვა თანამდებობრივ დანაშაულთაგან განსხვავებით, ლაპარაკია არა „თანამდებობის პირზე“, არამედ "სახელმწიფო, საკავშირო ან საზოგადოებრივ სამსახურში მყოფ პირზე“, რაც გვაფიქრებინებს, რომ კანონმდებელმა გააფართოვა ქმედების სუბიექტთა წრე და სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებული მოქმედების სანაცვლოდ გასამრჯელოს მიღების ყველა შემთხვევა ქრთამის აღებად მიიჩნია, იმისგან დამოუკიდებლად, ამის ჩამდენი თანამდებობის პირია თუ არა. 1922 წლის სსკ-ის მე-2 თავის სათაურიც ასეთი იყო - თანამდებობრივი (სამსახურებრივი) დანაშაული.

საქართველოს სსრ 1922 წლის სსკ-ში თვალშისაცემია თავისუფლების აღკვეთის საკმაოდ დაბალი ზღვარი, რომელიც ერთგვარ დისონანს ქმნიდა კოდექსით გათვალისწინებულ სასტიკ სასჯელებთან. დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე ჩადენილი ქრთამის აღება ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე და ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. როცა, რუსეთის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ამავე დანაშაულისათვის ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ქრთამის მიცემისთვის ქრთამის

<sup>21</sup> ლ. სურგულაძე, საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორია (1921-1922წწ.), თავდაპირველი რედაქცია, თბ., 1979, გვ. 97-150

აღებაზე უფრო მკაცრი სასჯელი იყო დაწესებული - თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე (ამავე, 117-ე მუხლის მესამე ნაწილი).

ეს სიტუაცია მალე შეიცვალა. და შემდგომი, 1924 წლის რედაქციაში მეტი რეპრესიული სულისკვეთებით იყო განმსჭვალული. მათ შორის, ცვლილებები შეეხო მექრთამეობის კანონმდებლობასაც. სასჯელი ქრთამის აღებისათვის გამკაცრდა და გახდა თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ ერთი წლისა ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა იყო ათი წელი. ასე რომ, ქრთამის აღება დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ერთიდან ათ წლამდე.<sup>22</sup>

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით ქრთამის აღების დამამძიმებელი გარემოებები ორ ჯგუფად დაიყო - დამამძიმებელ და „განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებად“. უკანასკნელ შემთხვევაში სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკვდილით დასჯა (ქონების კონფისკაციასთან ერთად) იყო დაწესებული ალტერნატიულ სასჯელზე მითითების გარეშე. კანონმდებელი არც კი განმარტავდა, თუ რა იგულისხმებოდა განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში. ასე ბუნდოვნად ფორმულირებული ქმედების შემადგენლობა მასთან დაკავშირებული სასტიკი სასჯელით საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 80-იანი წლების მეორე ნახევრამდე, ე.წ. „პერესტროიკის“ დრომდე შემორჩა.<sup>23</sup> თუმცა შიგადაშიგ იყო პერიოდები, როცა კანონმდებელი უარს ამბობდა სასჯელის ამ სახეზე, მაგრამ მალე ისევ უბრუნდებოდა მას. ეს ცხადია დამოკიდებული იყო საკავშირო კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებზე.<sup>24</sup>

ქრთამის აღება იყო ერთ-ერთი პირველი დანაშაული, რომლისთვისაც ხსენებულ „პერესტროიკის“ პერიოდში განხორციელებული კანონმდებლობის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით გაუქმდა სიკვდილით დასჯა. (1986 წლის 11 ივნისის კანონით). სიკვდილით დასჯის ეტაპობრივი განდევნა სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან ხსენებული კანონის მიღების შემდეგაც გაგრძელდა, ხოლო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეუქცევადი პროცესი გახდა. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით, სიკვდილით დასჯის

<sup>22</sup> თ. ებრალიძე, მექრთამეობის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, თბ., 2019, გვ. 278

<sup>23</sup> ჯ. ხეცურიანი, დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, თბ., 2006, გვ. 213; ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 97-99

<sup>24</sup> თ. ებრალიძე, მექრთამეობის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, თბ., 2019, გვ. 279

გათვალისწინება ორგანული კანონით შესაძლებელი იყო მხოლოდ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის (მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი).

1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების - სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ“. „დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს იყო სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების მესამე შემთხვევა.<sup>25</sup>

1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსს მიღებიდან მალევე დაემატა ახალი, 117<sup>1</sup>-ე მუხლი, სადაც გაერთიანდა მექრთამეობასთან დაკავშირებული ყველა ქმედება, გარდა ქრთამის აღებისა. კერძოდ: „ქრთამის მიცემა, მექრთამეობაში შუაგაცობა, მექრთამეობისთვის რითიმე ხელის შეწყობა ან მისი საწინააღმდეგო ღონისძიების მიუღებლობა“. „მექრთამეობისათვის ხელის შეწყობა“ არის მექრთამეობაში თანამონაწილეობა, კერძოდ - დახმარება. დამხმარის ფიგურა კი ისედაც იყო გათვალისწინებული ხსენებული კოდექსის ზოგადი ნაწილით.

117<sup>1</sup>-ე მუხლი ითვალისწინებდა აგრეთვე პასუხისმგებლობას მექრთამეობის მიმნებებლობისთვის („მისი საწინააღმდეგო ღონისძიების მიუღებლობა“). მიმნებებლობის ცალკეული შემთხვევების დასჯადობას ამჟამად მოქმედი კოდექსიც ითვალისწინებს, თუმცა თვალშისაცემია 117<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული შეუსაბამოდ მკაცრი სასჯელი, რაც ცხადია, საბჭოთა ავტორიტარიზმისათვის დამახასიათებელი სისასტიკის ტიპური გამოვლინება იყო. ქრთამის მიცემა, მექრთამეობაში შუამავლობა, ხელის შეწყობა და მექრთამეობის მიმნებებლობა ისჯებოდა „წინა მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული სასჯელით“, ე.ი. ისევე, როგორც ქრთამის აღება. ყველა ზემოთ აღნიშნული ქმედება, ქრთამის აღებასთან შედარებით, გაცილებით ნაკლები საშიშროების მქონეა და შესაბამისად, როგორც წესი, უფრო მსუბუქად ისჯება, თუმცა საბჭოთა საქართველოს 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ხსენებულ ქმედებებსა და ქრთამის აღებას შორის სასჯელის მხრივ არავითარ დიფერენცირებას არ ახდენდა. მეტიც, „განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში“ ჩადენილი ქრთამის მიცემა, მექრთამეობაში შუამავლობა, ხელისშეწყობა და მიმნებებლობა ისჯებოდა სასჯელის უმაღლესი ზომით და ქონების კონფისკაციით, ე.ი. ისევე, როგორც ქრთამის აღება იმავე (განსაკუთრებით დამამძიმებელი) გარემოების არსებობისას.<sup>26</sup>

<sup>25</sup> საქართველოში სიკვდილით დასჯა პირველად გაუქმდა მე-12 საუკუნეში, თამარ მეფის დროს, ხოლო მეორედ - დემოკრატიული საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით.

<sup>26</sup> თ. ებრალიძე, მექრთამეობის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, თბ., 2019, გვ. 280

საინტერესოა 1922 წლის სსკ-ის 118-ე მუხლი, რომელიც შეიცავდა შემდეგი შინაარსის ნორმას: „ქრთამის პროვოკაცია, ესე იგი, თანამდებობის პირის მიერ განზრახ ისეთი მდგომარეობისა და პირობების შექმნა, რომელიც ქრთამის შეძლევას გამოიწვევს იმ მიზნით, რათა შემდეგ ქრთამის შემძლევი გამხილებული იქნეს“.

უფრო სრულყოფილი სახით იყო წარმოდგენილი ქრთამის პროვოკაციის შესახებ ნორმა საქართველოს 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. კოდექსის 125-ე მუხლი ითვალისწინებდა თანამდებობის პირის პასუხისმგებლობას როგორც ქრთამის მიცემის, ისე ქრთამის აღების პროვოცირებისთვის. კერძოდ, მის მიერ „განზრახ ისეთი მდგომარეობისა და პირობების შექმნას, რომელიც ქრთამის შეძლევას ან მიღებას გამოიწვევს იმ მიზნით, რათა შემდეგ ქრთამის შემძლევი ან მიმღები გამხილებულ იქნეს“. მართალია, ხსენებული ნორმით ქმედების შემადგენლობის ფარგლები გაფართოვდა<sup>27</sup>, მაგრამ დანაშაულის ამსრულებელთა წრე კვლავ შეზღუდული იყო. გაუგებარია, რით ხელმძღვანელობდა კანონმდებელი, როცა ქრთამის აღების პროვოცირებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ თანამდებობის პირს დააკისრა. მნიშვნელოვნად შემსუბუქდა სასჯელი - დანაშაული ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა (თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა კვლავ ათი წელი იყო).

სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მექრთამეობის კანონმდებლობაში ქმედების საკანონმდებლო აღწერილობის მხრივ 1928 წლის კოდექსით არ შესულა. სამაგიეროდ, საგრძნობლად შემსუბუქდა სასჯელი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მექრთამეობის არც ერთი გამოვლინებისთვის<sup>28</sup> სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკვდილით დასჯა არ გამოიყენებოდა. შემცირდა თავისუფლების აღკვეთის ვადებიც.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირში საკანონმდებლო რეფორმა განხორციელდა, რომელიც სამართლის ყველა დარგს შეეხო. სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმას სათავე დაუდო 1958 წლის „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებმა“, რომელსაც ეტაპობრივი მნიშვნელობა ჰქონდა კანონმდებლობის სრულყოფის თვალსაზრისით. სწორედ, ამ „საფუძვლების“ ძირითად დებულებებზე დაყრდნობით საქართველომ ახალი სისხლის სამართლის კოდექსი მიიღო. ახალი კოდექსი (1960) წინამორბედებთან შედარებით უთუოდ წინგადადმულ ნაბიჯს

<sup>27</sup> დასჯადი გახდა არა მხოლოდ ქრთამის მიმცემის, არამედ ქრთამის აღების - თანამდებობის პირის პროვოცირებაც

<sup>28</sup> ქრთამის აღება-მიცემა და მექრთამეობაში შუამავლობა

წარმოადგენდა. დაიხვეწა და უფრო სრულყოფილი გახდა სისხლის სამართლის ძირითადი ცნებებისა და კატეგორიების შინაარსი.

კოდექსის 189-190<sup>1</sup> მუხლებით ისჯებოდა ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა და მექრთამეობაში შუამავლობა. კოდექსი „მექრთამეობისათვის ხელის შეწყობას“ დამოუკიდებელი დანაშაულის სახით აღარ ითვალისწინებდა. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა უნდა დამდგარიყო თანამონაწილეობის ზოგადი წესების შესაბამისად. რაც შეეხება „მექრთამეობის საწინააღმდეგო ღონისძიების მიუღებლობას“, ანუ მიმნებებლობას, იგი მოცული იყო დანაშაულის განუცხადებლობის შემადგენლობით (205-ე მუხლი).

გაფართოვდა ქრთამის აღების შემადგენლობის ფარგლები, რომელიც განისაზღვრა, როგორც „თანამდებობის პირის მიერ პირადად ან შუამავლის მეშვეობით ქრთამის აღება, რა სახითაც უნდა იყოს იგი, - ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის, ამა თუ იმ ქმედების შესრულების ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც თანამდებობის პირს უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“ (მუხლი 189).

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში კვლავ დაბრუნდა სიკვდილით დასჯის ნორმა „განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში“ ჩადენილი ქრთამის აღებისათვის. აგრეთვე, 189-ე მუხლი სიკვდილით დასჯის გარდა სხვა ალტერნატიულ სასჯელს არ ითვალისწინებდა და საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც ხარვეზიანი იყო.



## თავი. III ქრთამის ალების შემადგენლობა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით

### 3.1. ქრთამის ალების ობიექტური შემადგენლობა

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიღების შემდეგ მექრთამეობის კანონმდებლობაში საკმაოდ ბევრი ცვლილება შევიდა. ზოგიერთი მათგანი განაპირობა იმან, რომ ჩვენ შევუერთდით კორუფციასთან ბრძოლის 1999 წლის ევროპულ კონვენციას, რის შემდეგაც ანტიკორუფციული კანონმდებლობა მოყვანილი იქნა შესაბამისობაში კონვენციის ძირითად დებულებებთან.<sup>29</sup>

338-ე მუხლის თავდაპირველი რედაქცია ქრთამის საგნის საკმაოდ სრულყოფილი განმარტებას იძლეოდა. დისპოზიციაში ლაპარაკი იყო მოხელის მიერ „ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი სარგებლის მიღებაზე“ კანონმდებელი გარკვევით მიუთითებდა, რომ ქრთამის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ მატერიალური ხასიათის სიკეთე. 2006 წლის 25 აგვისტოს კანონით ქრთამის საგანთა ჩამონათვალი ( ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი სარგებლი) გაფართოვდა: მას დაემატა „ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობა,“<sup>30</sup> და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა, ასევე ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღება თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ამ თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისღწევად, აგრეთვე განახორციელოს სამსახურეობრივი მფარველობა“.<sup>31</sup>

ქრთამი, ტრადიციული გაგებით, მატერიალურ სარგებელს გულისხმობს. ეს მისი სპეციფიკური ნიშანია. „მექრთამეობა ანგარებითი ხასიათის მოქმედებაა და მამასადამე, თანამდებობის პირის გამდიდრების მომენტი ამ დანაშაულის არსს წარმოადგენს.“<sup>32</sup> მოხელე, რომელიც მოქალაქისგან ღებულობს თუნდაც არამატერიალურ სარგებელს, ამ უკანასკნელის

<sup>29</sup>თ. ებრალიძე, მექრთამეობის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნში " სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები", წიგნი IV, თბ., 2019, გვ. 287

<sup>30</sup> გ.ღლონტი და სხვები, კორუფცია საქართველოში: კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2011, გვ. 270

<sup>31</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 338, <https://matsne.gov.ge>

<sup>32</sup> მაყაშვილი, გ. ტყემელიძე, პასუხისმგებლობა მექრთამეობისთვის, თბ., 1964, გვ. 44.

სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულების სანაცვლოდ, ცხადია ამორალურ და გასაკიცხ ქმედებას სჩადის. მიუხედავად ამისა, ასეთ შემთხვევებს ვერ გაუთანაბრებთ მოხელის მიერ ფულის, ფასიან ქაღალდის ან სხვა ქონებრივ სარგებლის მიღებას. ცხადია, ამგვარი ქმედება მეტი საშიშროების მქონეა და მეტ ზიანს აყენებს სახელმწიფო ორგანოთა ავტორიტეტს. არაქონებრივი სარგებლის მიღების შემთხვევაში შესაძლოა დავკმაყოფილდეთ მოხელის დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით, თუ მისი ქმედება სხვა დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს.<sup>33</sup>

ქრთამის საგნად „სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის“ მხნევით სსკ-ის 338-ე მუხლი დიდად აღარ განსხვავდება 1960 წლის სსკ-ის შესაბამისი 189-ე მუხლისგან, რომელიც ქრთამის საგანზე მითითებას საერთოდ არ შეიცავდა. მუხლის დიფერენციალში აღნიშნული იყო „თანამდებობის პირის მიერ პირადად ან შუამავალის მეშვეობით ქრთამის აღება, რა ხასიათსაც უნდა იყოს იგი“. ამგვარი საკანონმდებლო ფორმულირების მიუხედავად, ავტორთა უმეტესობა მაშინაც თვლიდა, რომ ქრთამის საგანი შეილება იყოს მხოლოდ ქონება ან ქონებრივი სარგებელი. არამატერიალური ხასიათის სამსახურის გაწევა კი არ შეიძლება ქრთამად ჩაითვალოს. ამ გზით მიდიოდა სასამართლო პრაქტიკაც. თუმცა, როგორც სისხლისსამართლებრივ ლეტერატურაში აღნიშნულია, ზოგიერთი სასამართლო კანონის გამოთქმა „ქრთამის აღება, რა სახითაც არ უნდა იყოს“, მეტად ფართოდ განმარტავდა და ქრთამად ცნობდა ქალის მიერ მოხელესთან სქესობრივი კავშირის დაჭერასაც. საკითხის ასეთი გადაწყვეთა მაშინაც მეცნიერ-იურისტთა კრიტიკას იმსახურებდა. ისინი რეკომენდაციას აძლევდნენ სასამართლოებს, სათანადო პირობების არსებობისას ამგვარი ქმედება დაეკვალიფიცირებინათ სქესობრივი დანაშაულის მუხლით, კერძოდ, როგორც ქალის იძულება სქესობრივი კავშირის დაჭერისთვის დაზარალებულის მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით.<sup>34</sup>

ქრთამის საგანი შეიძლება იყოს ფული, ძვირფასეულობა და ნებისმიერი მატერიალური ნივთი, რომელსაც გაცვლითი ღირებულება გააჩნია, იქნება ეს ავეჯი, სახლი, მიწის ნაკვეთი, მანქანა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი თუ სხვა. „ქრთამის საგნად არ ჩაითვლება საქართველოსა და უცხო სახელმწიფოების ფული, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში არ არის.

<sup>33</sup> გ. ლლონტი და სხვები, კორუფცია საქართველოში: კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2011, გვ. 270

<sup>34</sup> იქვე, გვ. 271

რაც ნუმინმატიკურ ფასეულობას, იგი ამ მუხლით „ფულად“ ჩაითვლება, მაგარამ შეიძლება ქრთამის საგნად გახდეს, როგორც მუხლში მითითებული „სხვა ქონება“.<sup>35</sup>

338-ე მუხლში ლაპარაკია „ქონებრივ სარგებელზე“, როგორც ქრთამის საგანზე. იქ იგულისხმება მოხელისთვის უფასოდ ისეთი სამსახურის გაწევა, რაშიც მას ფული უნდა გადაეხადა. მაგალითად, აგარაკის ან მანქანის გადაცემა დროებით გამოყენებისათვის, სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ავადმყოფი მოხუცის მოვლა, ტანსაცმლის შეკერვა, ფასიანი სამკურნალო დაწესებულებაში უფასოდ მკურნალობა, ასევე დაბადების დღის, ქორწილის, ტურისტული მოგზაურობის, სანატორიუმში დასვენების ხარჯების ანაზღაურება. ასე რომ, ქრთამის საგანი იქნება ნებისმიერი სახის მომსახურება, თუ იგი წარმოადგენს საზღაურს მოხელის მიერ განსახორციელებელი მოქმედებისათვის.

ქრთამის საგნად უნდა ჩაითვალოს მოხელის მიერ ე.წ. „წილში ჩაჯდომა“ მეწარმის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულების (ვთქვათ, საწარმოსთვის შეღავადების დაწესების) სანაცვლოდ. ამგვარი შემთხვევები უნდა განვასხვავოთ სსკ-ის 337-ე მუხლში ლაპარაკია მოხელის მიერ პირადად ან სხვისი მეშვეობით საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების დაარსებაზე სამეწარმეო საქმიანობის მიზნით, ან მის მართვაში მონაწილეობაზე კანონით დადგენილი აკრძალვის მიუხედავად, თუ ეს დაკავშირებულია ამ საწარმოსათვის უკანონო შეღავათის ან უპირატესობის დაწესებასთან ანმის სხვა ფორმით მფარვეობასთან. ქრთამის აღების დროს კი მოხელე მეწარმის სასარგებლოდ რაღაცა მოქმედების შესრულების სანაცვლოდ „წილში უჯდება“ ამ უკანსკნელს.<sup>36</sup>

როგორც, თ. ებრალიძე აღნიშნავს, „არამართლზომიერ უპირატესობაზე“, როგორც ქრთამის საგანზე, ლაპარაკია ხსენებულ კორუფციასთან ბრძოლის ევროპულ კონვენციაში და იქედან იქნა ინტეგრირებული ჩვენს სისხლის სამართლის კოდექსში. კონვენციის შესაბამის მუხლებში, სადაც მექრთამეობის ცალკეული გამოვლინებებია აღწერილი (მე-2-3, მე-7-8, მე-12 მუხლები) ლაპარაკია არა ფულზე, სხვა ქონებაზე და ა.შ., არამედ „გაუმართლებელ უპირატესობაზე“. ასევე გერმანიის სსკ-ის 332-ე პარაგრაფით ისჯება მოხელე, „რომელიც თავისთვის ან მესამე პირისათვის მოითხოვს,

<sup>35</sup> მ.ლევკვიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბ., 2017, გვ. 344

<sup>36</sup> გ.დლონტი და სხვები, კორუფცია საქართველოში: კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2011, გვ. 272

თანხმდება უპირატესობის დაპირებას ან იღებს უპირატესობას“ სამსახურებრივი ქმედების განხორციელების სანაცვლოდ.<sup>37</sup>

ასევე, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლში „სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღებაზე“ მითითება ქრთამის მეტად ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა, რაც დიდ გასაქანს აძლევს მოსამართლის თავისუფალი მიხედვულების სფეროს. ამან კი, შესაძლოა მის მიერ უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის გამოტანა განაპირობოს.<sup>38</sup>

„არამართლზომიერ უპირატესობად“ შეიძლება მივიჩნიოთ მოხელის ახლობლის სამსახურში მოწყობა, სხვის სამეცნიერო ნაშრომზე ან გამოგონებაზე ავტორობის უფლების მიღება. მაგალითად, გაწეული სამსახურის სანაცვლოდ მოხელემ სხვისი წიგნის ან სამეცნიერო ნაშრომის თანაავტორობა მოითხოვა. ამგვარი ქმედებები საბოლოო ჯამში მაინც ქონებრივი სარგებლის მიღებასთანაა დაკავშირებული და ამდენად, ზემოხსენებულ საკანონმდებლო ცვლილებამდეც ქრთამად ითვლებოდა. თუმცა, ისეთი შემთხვევების დასახელებაც შეიძლება, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მოხელის მიერ მატერიალური გამორჩენის მიღებასთან. მაგალითად, გაწეული სამსახურის სანაცვლოდ მოხელის ან მისი ახლობლისათვის დადებითი რეცენზიის, დასკვნის, დახასიათების მიცემა, საპატიო წოდების მინიჭება და ა.შ. თუმცა ამგვარი შემთხვევები სავსებით არის მოცული საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება).

დღევანდელი კანონმდებლობით, უნდა ჩაითვალოს თუ არა ქრთამად მოხელის მიერ ქალთან სქესობრივი კავშირის დაჭერა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ რაიმე ქმედების შესრულების სანაცვლოდ? ერთი შეხედვით, ეს ქმედება მართლაც ხელყოფს 338-ე მუხლით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს და ამ თვალსაზრისით არც ჩამოუვარდება მოხელის მიერ სამსახურებრივი მოქმედების განხორციელების სანაცვლოდ ფულის ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღებას.

მაგალითად, მოქალაქეს, რომელიც დაწესებულებაში არსებულ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობს, დაწესებულების დირექტორი დახმარებას შეჰპირდა, სანაცვლოდ კი მასთან სქესობრივი კავშირის დაჭერა მოითხოვა. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ სსკ-ის 139-ე მუხლი (პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი

<sup>37</sup> თ. ებრალიძე, მექრთამეობის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნში "სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები", წიგნი IV, თბ., 2019, გვ. 287-288

<sup>38</sup> იქვე, გვ. 288

ქმედების იძულება) ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება, რადგან ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის არსებობისათვის საჭიროა დანაშაულის მიერ მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენება. სამსახურებრივი დამოკიდებულების გამოყენება არ არსებობს იმ შემთხვევაში, როცა პირებს შორის ჯერ არაა დამყარებული სამსახურებრივი ურთიერთობა.<sup>39</sup> ამგვარი ურთიერთობა ამ დანაშაულის ჩადენის დროისათვის უკვე სახეზე უნდა იყოს. ჩვენს მაგალითში ვერც კოდექსის 150-ე მუხლს (იძულება) გამოვიყენებთ. ვინაიდან, იძულების აუცილებელი ნიშანია ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების შეზღუდვა მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების გზით. მოტანილ მაგალითში, მოხელის წინადადების მიღება-არმიღების საკითხი ქალის სურვილზე არის დამოკიდებული და ამდენად მისი ქმედების თავისუფლება არ იზღუდება. ასე რომ, მოხელე ან უნდა გავათავისუფლოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და დავკმაყოფილოთ მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობით, ან პასუხი ვაგებინოთ სამოხელეო დანაშაულისათვის. უკანასკნელ შემთხვევაში აშკარაა სსკ-ის 338-ე და 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) მუხლების კონკურენცია. მით უმეტეს, რომ მოხელის მიერ უპირატესობის მიღებაზე მითითებას სსკ-ის 332-ე მუხლიც შეიცავს. ამ კონკურენციისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს 332-ე მუხლს, რადგან მოხელის პასუხისმგებაში მიცემა ქრთამის აღებისათვის ნიშნავს ქალის პასუხისმგებლობას ქრთამის მიცემისთვის, რაც ცხადია, არასერიოზული იქნებოდა.<sup>40</sup>

ასე რომ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 332-ე მუხლის არსებობის პირობებში ქრთამის აღების შემადგენლობაში „სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის“ ნიშნის შემოტანა დამატებით სირთულეებს იწვევს ამ ორი ნორმის გამიჯვნის თვალსაზრისით და არ უწყობს ხელს სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნად განხორციელებას.

**დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის** საჭიროა მოხელის მიერ ქრთამის საგნის მიღება ან მოთხოვნა, ასევე ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღება. ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები 338-ე მუხლს დაემატა 2006 წლის 25 აგვისტოს კანონით განხორციელებული ცვლილების შედეგად. ამ ცვლილების შემდეგ, ქრთამის აღების შემადგენლობა დამთავრებულია მოხელის მიერ ქრთამის მოთხოვნის, ასევე შეთავაზების ან დაპირების მიღების მომენტიდან. ასე რომ, დანაშაულის დამთავრების მომენტი ფაქტიურად მომზადების ეტაპზეა გადმოტანილი.

---

<sup>39</sup>მ.ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბ., 2016, გვ. 230

<sup>40</sup> ვ. მაყაშვილი, გ. ტყემელიაძე, პასუხისმგებლობა მექრთამეობისთვის, თბ., 1964, გვ. 44.

ამგვარი საკანონმდებლო კონსტრუქცია სრულ შესაბამისობაშია კორუფციასთან ბრძოლის 1999 წლის ევროპული კონვენციის დებულებებთან.<sup>41</sup>

დანაშაულის დამთავრების მომენტის ადრეულ ეტაპზე გადმოწევა მაშინ ხდება, როცა დასაცავი სამართლებრივი სიკეთე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი შესაძლებლად არ თვლის დანაშაულის დამთავრება ნამდვილი ზიანის დადგომას დაუკავშიროს და ამიტომ დასჯადად აცხადებს თვითონ მოქმედებას.<sup>42</sup> ასეთ მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს სწორედ სახელმწიფო ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირება, მათი პრესტიჟი და ავტორიტეტი. აღსანიშნავია ისიც, რომ მოხელის მიერ ქრთამის მოთხოვნა, ასევე შეთავაზების ან დაპირების მიღება გარკვეულწილად სცილდება სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისათვის პირობების შექმნის ეტაპს და მის მიერ ქრთამის რეალურად აღებამდე აზიანებს სახელმწიფო ორგანოთა პრესტიჟსა და ავტორიტეტს, წარმოშობს ადამიანებში უნდობლობას სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ, რაც ხსენებული ნორმით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ მოქმედება (მოხელის მიერ ქრთამის მოთხოვნა ან შეთავაზება/დაპირების მიღება) და შედეგი (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) განუყრელად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ესეც საფრთხის დელიქტებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი თვისებაა. როგორც თინათინ წერეთელი აღნიშნავს, შედეგარეშე შემადგენლობათა ჩამოყალიბების საფუძველი, გარდა კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის მაღალი ღირებულებისა, მაშინაც გვაქვს, როცა შედეგი გარდუვალად დგება განსაზღვრული მოქმედების შესრულებასთან ერთად და ამიტომაც მათი ერთმანეთისაგან გათიშვა ფაქტიურად შეუძლებელია.<sup>43</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ვეთანხმები თ. ებრალიძეს, ვინაიდან კანონმდებელს სრული საფუძველი ჰქონდა ქრთამის აღება ფორმალურ დელიქტად ჩამოეყალიბებინა.<sup>44</sup> ამ საკითხზე საგანგებოდ იმიტომ შევაჩერეთ ყურადღება, რომ ზოგიერთი მეცნიერი იწუნებს კანონმდებლის ამგვარ პოზიციას და თვლის, რომ ქრთამის აღება (ისევე, როგორც ქრთამის მიცემა) დამთავრებულად უნდა ითვლებოდეს მოხელის მიერ ქრთამის (ან მისი ნაწილის) რეალურად მიღების მომენტიდან. მანამდე კი მან პასუხი უნდა აგოს დანაშაულის ჩადენის წინარე სტადიისათვის. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ქრთამის აღების საკანონმდებლო

<sup>41</sup> თ. ებრალიძე, მექრთამეობოს ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნში "სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები", წიგნი IV, თბ., 2019, გვ. 290

<sup>42</sup> თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ.172

<sup>43</sup> იქვე, გვ.172

<sup>44</sup> თ. ებრალიძე, მექრთამეობოს ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნში "სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები", წიგნი IV, თბილისი, 2019, გვ. 292

აღწერილობა ეწინააღმდეგება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტს. სამართლებრივად მოხელეს ქრთამის რეალურად აღებამდე უნდა ჰქონდეს უფლება ხელი აიღოს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე. 338-ე მუხლის მოქმედი რედაქცია კი მას უსპობს ამ შედეგით სარგებლობის შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისს აქვს საფუძველი, თუმცა მისი თანმიმდევრული განვითარების შემთხვევაში საფრთხის დელიქტების უმეტესობა უვარგის საკანონმდებლო ნოველად უნდა მიგვეჩნია. ასევე, იგი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი მეცნიერი იწუნებს კანონმდებლის ამგვარ პოზიციას და თვლის, რომ ქრთამის აღება (ისევე, როგორც ქრთამის მიცემა) დამთავრებულად უნდა ითვლებოდეს მოხელის მიერ ქრთამის (ან მისი ნაწილის) რეალურად მიღების მომენტიდან. მანამდე კი მან პასუხი უნდა აგოს დანაშაულის ჩადენის წინარე სტადიისათვის.<sup>45</sup> ცხადია, ეს ცვლილება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრებას ისახავს მიზნად და როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონვენციის შესაბამისად განხორციელდა. თუმცა, დანაშაულის დამთავრების ადრეულ სტადიაზე გადმოტანა კანონმდებელს ავალდებულებდა გაეთვალისწინებინა რამდენიმე პრობლემა, რომლებიც ამ საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების შემდეგ წარმოიშობოდა სასამართლო პრაქტიკაში და მიეღო ზომები მათი თავიდან ასაცილებლად, რათა უზრუნველყო მექრთამეობის ყველა შემთხვევაში მოსამართლის მიერ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. განვიხილოთ ეს პრობლემები.<sup>46</sup>

338-ე მუხლის მოქმედი რედაქციით, თუ მოხელემ მოითხოვა ქრთამი (ან მიიღო მისი შეთავაზება/დაპირება), მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და არ აიღო მოთხოვნილი თანხა, მან მაინც უნდა აგოს პასუხი სისხლის სამართლის წესით დამთავრებული ქრთამის აღებისათვის. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტს ასეთ შემთხვევაში ვერ გამოვიყენებთ, რადგან სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღიარებული თვალსაზრისით, ფორმალურ დელიქტებში დანაშაულზე ხელის აღება შეუძლებელია. ასეთი დასკვნა ამ დელიქტების ბუნებიდან გამომდინარეობს და გაბატონებულად ითვლება ქართულ სისხლის სამართალში.<sup>47</sup> უმცირესობის პოზიციას იზიარებს ლ. ხარანაული, რომელიც სისხლის სამართლის კრიმინალ-პოლიტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აფართოებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფარგლებს („ოქროს ხიდის მოდიფიკაციის“ თეორია) და თვლის, რომ მისი გამოყენების უფლება დამნაშავეს

<sup>45</sup> გ. დლონტი და სხვები, კორუფცია საქართველოში: კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2011, გვ. 273-274.

<sup>46</sup> თ. ებრალიძე, მექრთამეობის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნში "სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები", წიგნი IV, თბ., 2019, გვ. 292

<sup>47</sup> თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, გვ. 552-554; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 302; თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 287-290

უნდა მიეცეს იურიდიულად დამთავრებულ ფორმალურ დანაშაულებშიც.<sup>48</sup> თუმცა ეს არ ნიშნავს ასეთ შემთხვევებში დამნაშავისთვის სასჯელისაგან გათავისუფლების ყველანაირი შესაძლებლობის ჩამორთმევას. თუკი დამნაშავე დანაშაულის ფორმალურად დამთავრების შემდეგ თავიდან აიცილებს შემდგომი უფრო დიდი ზიანის დადგომას, ის შეიძლება გათავისუფლდეს ქმედითი მონანიების საფუძველზე.<sup>49</sup> ქრთამის მოთხოვნის (ისევე, როგორც მისი შეთავაზების ან დაპირების მიღების) შემთხვევაში, ვერც ამ ინსტიტუტს გამოვიყენებთ, რადგან საქართველოს სსკ-ის 68-ე მუხლის თანახმად, ქმედითი მონანიების გამო პირი მაშინ შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, თუ მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას. დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე ჩადენილი ქრთამის აღებისათვის კი ჩვენი კოდექსი ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

იმავე 68-ე მუხლის მეორე ნაწილით, „ის, ვინც ჩაიდინა სხვა კატეგორიის დანაშაული, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს გათვალისწინებულია კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით“. აქ ცხადია, ლაპარაკია ე.წ. წამახალისებელ ნორმებზე, რომლებიც შენიშვნის სახით მოცემულია საქართველოს სსკ-ის კერძო ნაწილის რამდენიმე მუხლში. კოდექსის 338-ე მუხლი კი ასეთ წამახალისებელ ნორმას არ შეიცავს.

ასე რომ, მოხელე, რომელმაც ქრთამის მოთხოვნის ან მისი შეთავაზების (დაპირების) მიღების შემდეგ უარი თქვა ქრთამის აღებაზე, დღეს მოქმედი კანონმდებლობით პასუხს აგებს დამთავრებული ქრთამის აღებისათვის, რომელიც ჩვენი კოდექსით საკმაოდ მკაცრად ისჯება (შეუსაბამოდ მკაცრ სანქციებზე ქვევით ვისაუბრებთ). საკითხის ასეთი გადაწყვეტა, გარდა იმისა, რომ უსამართლობის განცდას იწვევს, არც სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებს შეესაბამება.<sup>50</sup>

თ. ებრალიძის აზრით, მიზანშეწონილია სსკ-ის 338-ე მუხლს შენიშვნის სახით დაემატოს წამახალისებელი ნორმა, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ზემოთ მოტანილ შემთხვევებში მოხელის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება. მით უმეტეს, რომ ამგვარ წამახალისებელ

<sup>48</sup> ლ. ხარანაული, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი, წიგნში: „სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში“, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, თბ., 2013, გვ. 393-396

<sup>49</sup> Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch, 2.Aufl., § 37, Rn. 54. ციტირებულია თ. ცქიტიშვილის წიგნიდან: ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 287 - 290

<sup>50</sup> ლ. ხარანაული, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი, წიგნში: „სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში“, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, თბ., 2013, გვ. 393-396



ნორმებს ქრთამის აღებაზე უფრო მძიმე დანაშაულებისთვის ითვალისწინებს ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ უკანონო ფორმირებაში მონაწილეობა (მ. 223), ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკების წარმოება (მ. 309), უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა (მ. 311), შეთქმულება (315-ე მუხლის I ნაწილი) და სხვ. სწორად შენიშნავს პროფ. ნ. გვენეტაძე, რომ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მარტო რეპრესიის გაძლიერებით ვერ მოხერხდება. ამისათვის საჭიროა დასჯისა და წახალისების ჰარმონიზაცია. ამ უკანასკნელს შეუძლია შეცვალოს ადამიანის ქცევა მაშინაც კი, როდესაც სასჯელის მუქარა უძლურია. ადამიანის ქცევა, რომელიც არ ემორჩილებოდა სასჯელის შიშს, დაემორჩილება დროულ წახალისებასა და სტიმულირებას, მაშინ, როდესაც მას კიდევ აქვს არჩევანის შანსი კანონიერ და დანაშაულებრივ ქცევას შორის. აღნიშნული კი ეფექტური საშუალებაა დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად. ადამიანს, რომელიც კონფლიქტშია სისხლის სამართლის კანონთან, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გამოვიდეს ამ კონფლიქტიდან გარკვეული პირობების დაცვით.<sup>51</sup>

წამახალისებელი ნორმის შემოტანა სსკ-ის 338-ე მუხლში წინადადებული ნაბიჯი იქნება მექრთამეობის კანონმდებლობის სრულყოფის თვალსაზრისით, თუმცა 338-ე მუხლის საკანონმდებლო აღწერილობითა და შეუსაბამოდ მკაცრი სანქციებით შექმნილ პრობლემას მაინც ვერ მოხსნის. ამგვარი ნორმის არსებობის შემთხვევაში პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება ის მოხელე, რომელიც ქრთამის მოთხოვნის (ან შეთავაზება/დაპირების მიღების) შემდეგ არ აიღებს ქრთამს ან მის მიტანამდე უარს იტყვის ქრთამის აღებაზე. ხოლო თუ მოხელეს ქრთამის მოთხოვნის (შეთავაზება/დაპირების მიღების) მომენტშივე დააკავებენ, მასზე ვერავითარი შეღავათი ვეღარ გავრცელდება, გარდა კანონით გათვალისწინებული სანქციის მინიმალური ზღვარის შეფარდებისა. 338-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ზღვარიც კი საკმაოდ მაღალია. დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე ჩადენილი ქრთამის აღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსიდან ცხრა წლამდე. მეორე და მესამე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები კი, შესაბამისად - შვიდიდან თერთმეტ წლამდე და თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე. ესე იგი, თუ მოხელემ წამიერ ცდუნებას ვერ გაუძლო და მიიღო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის შეთავაზება და ამ დროს ამხილეს, მას სულ მცირე თერთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა შეეფარდოს. ქრთამის მოთხოვნის ან მისი შეთავაზების მიღებისთვის, რომელიც საკმაოდ დროით არის დაშორებული დანაშაულებრივი

<sup>51</sup>თ.ებრალიძე, მექრთამეობის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნში: "სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები", წიგნი IV, თბ., 2019, გვ. 294-295.

შედეგის – ქრთამის აღებისგან და ჯერ კიდევ არ ვიცით, მოახდენს თუ არა მოხელე დანაშაულებრივი განზრახვის რეალიზაციას, ასეთი მკაცრი სასჯელის შეფარდება აშკარად გაუმართლებელია.

ყურადღებას იმსახურებს ცრუ შუამავლობის საკითხი. ცრუ შუამავალი არის პირი, რომელიც ატყუებს ქრთამის მიმცემს, იღებს მისგან ფულს ან სხვა ფასეულობას, თითქოსდა მოხელისთვის გადასაცემად და ითვისებს მას. ასე რომ, ცრუ შუამავალი მოტყუების გზით ეუფლება სხვის ნივთს. ამიტომ მან პასუხი უნდა აგოს თაღლითობისათვის. სასამართლო პრაქტიკაში ცრუ შუამავლის ქმედება სწორად კვალიფიცირდება, როგორც თაღლითობა. ზოგჯერ, გარდა თაღლითობისა, მას მსჯავრი ედება ქრთამის მიცემის წაქეზებისათვის.

ცრუ შუამავლის ქმედება არ შეიძლება ქრთამის მიცემის წაქეზებად, ანუ დანაშაულში თანამონაწილეობად მივიჩნიოთ, რადგან თანამონაწილე და ამსრულებელი ერთიანი მიზნით უნდა მოქმედებდნენ. თუკი წამქეზებლის მიზანი, ის მიზანი, რომელიც უმართლობას აფუძნებს, არ ემთხვევა ამსრულებლის მიზანს, მაშინ აღარ გვაქვს თანამონაწილეობა და თითოეული მათგანი დამოუკიდებელი უმართლობის ამსრულებელია.<sup>52</sup>

ცრუ შუამავლობის შემთხვევაში ქრთამის მიმცემი მოქმედებს კონკრეტული მიზნით – ქრთამის სანაცვლოდ შეასრულებინოს მოხელეს მისთვის სასარგებლო ქმედება. ცრუ შუამავლის (წამქეზებლის) მიზანი კი სულ სხვაა – მოატყუოს ქრთამის მიმცემი და ამ გზით დაეუფლოს მის ფულს. ასე რომ, შეუძლებელია ლაპარაკი მათი მოქმედების ერთიანობაზე. ამიტომ, ცრუ შუამავალმა არ შეიძლება პასუხი აგოს ქრთამის მიცემის წაქეზებისათვის.

რაც შეეხება ქრთამის მიმცემს, სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, ე.წ. „ცრუ შუამავლობის“ დროს, მან პასუხი უნდა აგოს ქრთამის მიცემის მცდელობისათვის. თუმცა ზოგიერთ ავტორს ამგვარი კვალიფიკაცია 339-ე მუხლის ფორმალურ დელიქტად ჩამოყალიბების შემდეგ, შეუძლებლად მიაჩნია. თ. ცქიტიშვილი თვლის, რომ ცრუ შუამავლობის დროს ქრთამის მიმცემის ქმედება არ შეიძლება მცდელობად ჩაითვალოს.<sup>53</sup> მონოგრაფიაში თ. ცქიტიშვილი ნაკლებად კატეგორიულია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით და იგი საკამათოდ მიაჩნია. ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: მართალია, 339-ე მუხლის ამჟამად მოქმედი რედაქციით, ქრთამის მიცემის შემადგენლობა დამთავრებულია მისი შეთავაზების ან დაპირების მომენტიდან, მაგრამ ცრუ შუამავლისათვის

<sup>52</sup>ო.გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989, გვ. 179.

<sup>53</sup>თ.ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, დისერტაცია. თბ., 2014, გვ. 246-247. Tsu.edu.ge;

ქრთამის მიცემა არ შეიძლება დამთავრებულ დანაშაულად ჩაითვალოს, რადგან კანონი მოითხოვს მოხელისთვის ქრთამის შეთავაზებას ან დაპირებას. ცრუ შუამავლობის დროს კი ქრთამის მიმცემს მოხელისთვის არ შეუთავაზებია ქრთამი და არც მიუცია. მან ქრთამი მხოლოდ ცრუ შუამავალს მისცა მოხელისთვის გადასაცემად, რომელიც თაღლითი აღმოჩნდა და თანხა მიისაკუთრა. ასე რომ, ქრთამის მიმცემს ყველაფერი არ გაუკეთებია, რაც მისი მხრიდან იყო საჭირო დანაშაულის დამთავრებისათვის. ე.ი. საქმე გვაქვს დაუმთავრებელ მცდელობასთან.<sup>54</sup> რაშიც ვერ დავეთანხმები ი. დვალიძეს, რომელსაც ცრუ შუამავლისათვის ქრთამის მიცემა ფორმალურ დანაშაულებში დამთავრებული მცდელობის შესაძლებლობის საილუსტრაციოდ მოჰყავს.<sup>55</sup> აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ 339-ე მუხლის დღეს მოქმედი რედაქციის პირობებშიც ცრუ შუამავლობის დროს ქრთამის მიმცემმა პასუხი უნდა აგოს ქრთამის მიცემის მცდელობისათვის.

### 3.2. ქრთამის აღების სუბიექტური შემადგენლობა

სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე ხდება სუბიექტის ნებელობის დადგენა, კერძოდ ქმედება განზრახ არის ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით. განზრახი დანაშაულები უფრო მეტად საშიშია და კანონმდებელიც მას უფრო მკაცრად სჯის. ქრთამის აღება განზრახი დანაშაულია. მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი მოქმედებს განზრახ, მას სრულიად გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, შესაძლო შედეგი და სურს ის.

ქრთამის აღების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე მნიშვნელოვანია მოტივისა და მიზნის არსებობა, რადგან სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო მასზე ამახვილებს ყურადღებას და ახდენს მათ კლასიფიკაციას, რადგან “სწორედ კლასიფიკაციის შედეგად მიღებული ჯგუფებით ვაფასებთ ჩვენ კონკრეტულ საქმეში დადგენილი მოტივი და მიზანი სასჯელს შეამსუბუქებს თუ დაამძიმებს. მოტივის ქცევისგან მოწყვეტით შეფასება შეუძლებელია.”<sup>56</sup> კორუფციული დანაშაულის ქრთამის აღების მოტივი ანგარებაა. მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, როდესაც იღებს დაპირებას ან შეთავაზებას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ იმოქმედოს ან თავი შეიკავოს მოქმედებისგან მოქმედებს ანგარების მოტივით. მან

<sup>54</sup>ი.დვალიძე და სხვები, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ.165

<sup>55</sup>იქვე, გვ. 166

<sup>56</sup>ი.დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ. 84.

იცის, რომ აიღებს ფულს, ძვირფასეულობას ან რაიმე სარგებელს ნახავს. ამიტომ ქრთამის აღებაზე მსჯელობისას აუცილებელია ამსრულებლის მიზანისა და მოტივის დადგენა.

ქრთამის ამღებს შეცნობილი უნდა ჰქონდეს მეორე მხარის განზრახვა - მისცეს ქრთამი. ასევე ქრთამის მიმცემს შეგნებული უნდა ჰქონდეს მეორე მხარის განზრახვა - მიიღოს ქრთამი. თითოეულ მხარეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ეს ცნობილია მეორე მხარისთვის. ამ მომენტს არსებითი მნიშვნელობა აქვს. მხარეთა შორის ასეთი შეთანხმების გარეშე დამთავრებული მექრთამეობა არ არსებობს.<sup>57</sup>

როგორც უკვე აღვნიშნე, ქრთამის ამღები პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. მას შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ღებულობს ქონებას ან ქონებრივ სარგებელს წარსულში ან მომავლისათვის იმ სამსახურებრივ მოქმედებასთან დაკავშირებით, რომლითაც ქრთამის მიმცემია დაინტერესებული. ამის გამო ქრთამის აღების განზრახვა არ იქნება, თუ მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს არ აქვს წარმოდგენილი ასეთი კავშირი, მაგალითად, მაშინ, როდესაც ის ფიქრობს, რომ მას საჩუქარი მისცა ახლო მეგობარმა, ნათესავმა, ანდა ფიქრობს, რომ მას სესხს უბრუნებენ და ა.შ.<sup>58</sup> შეიძლება მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი ფიქრობს, რომ მას გასამრჯელო ეძლევა მისი სამსახურებრივი მოქმედების შესრულებისათვის, მაგრამ იგი შეცდომით თვლიდეს, რომ ასეთი გასამრჯელო კანონიერია. ასეთ პირობებშიც ქრთამის აღების განზრახვა არ არსებობს.

ქრთამის ამღებს შეიძლება სულაც არ ჰქონდეს განზრახული შეასრულოს ის სამსახურებრივი მოქმედება, რომლისთვისაც ქრთამია აღებული. საკმარისია მას შეგნებული ჰქონდეს, რომ ქრთამის აღება დაკავშირებულია მის სამსახურებრივ საქმიანობასთან.<sup>59</sup> მაშასადამე, აღნიშნული ქმედების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს ქრთამის ამღების ფსიქიკურ დამოკიდებულებას იმ სამსახურებრივ მოქმედებასთან, რომლისთვისაც ქრთამი იქნა მიცემული.

დანაშაულის ჩადენის მოტივი, როგორც წესი ანგარებაა, ხოლო მიზანი - ქონებრივი გამდიდრება. მოხელეს სურს თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიიღოს მატერიალური სარგებელი: ფული, ფასიანი ქაღალდი, სხვა ქონება ან ქონებრივი სარგებელი ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობა. სხვა გარემოებებთან ერთად ქრთამის აღებისათვის სწორედ იმიტომაცა დაწესებული მკაცრი სასჯელი, რომ იგი ყველაზე უფრო დასაგმობი გრძნობით - ანგარებით არის შეპყრობილი.

<sup>57</sup> ვ. მაყაშვილი, გ. ტყეშელიძე, პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის, თბ., 1964, გვ. 98

<sup>58</sup> მ.ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბ., 2009, გვ.165

<sup>59</sup> ვ. მაყაშვილი, გ. ტყეშელიძე, პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის, თბ., 1964, გვ. 109

### 3.3. ქრთამის აღების პროვოკაცია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლი ეხება დანაშაულის პროვოკაციას: “დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგი სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით, – ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.” კანონიდან გამომდინარე ეს არის პიროვნების მზაკვრული საქციელი და სხვისი ცდუნება, ისეთი ქმედებისთვის, რაც შემდგომში დააყენებს საკითხს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

პროვოკაცია მეტად რთული საკითხია და მისი სამართლებრივი ხასიათის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა მეცნიერებში, რაც გავლენას ახდენს მის კონსოლიდაციაზე. თუ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსი სჯიდა ქრთამის პროვოკაციისთვის როგორც ქრთამის მიმცემს, ასევე ქრთამის ამღებს, 1960 წლის კოდექსში ქრთამის პროვოკაციის შესახებ ნორმა არ იყო. მეცნიერები დაობენ პროვოკაციასა და წამქეზებლობას შორის მსგავსებასა და განსხვავებაზე.<sup>60</sup> მთავარი განსხვავება კი იყო პიროვნების მოტივი. თუ წამქეზებელი ამსრულებელთან ერთად მოქმედებს ერთიანი განზრახვით და მისი საბოლოო მიზანი არის ქმედების ბოლომდე განხორციელება, პროვოკატორს მხოლოდ ამსრულებლის მიყვანა სურს დასჯად სტატიამდე. ნაბოკოვი აღნიშნავდა : „განზრახვა შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე. მცდელობის განზრახვა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით არ შეიძლება არსებობდეს.“<sup>61</sup> ქრთამის აღების დროს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მოტივი ანგარებაა, ხოლო პროვოკატორის მოტივი მისი პასუხისგებაში მიცემა. პროვოკატორის დასჯადობა კი საერთოდ არ უნდა იყოს დამოკიდებული ამსრულებლის ქმედებაზე მან აიღო თუ არა ქრთამი. პროვოკაცია ცალკე ქმედებაა და დამოუკიდებლად უნდა მოხდეს მისი შეფასება.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა ფართოდ განიხილავს პროვოკაციას და ისჯება ყველანაირი დანაშაულის პროვოკაცია როგორც ქრთამის, ასევე ქურდობის, ყაჩაღობის და ა.შ.

<sup>60</sup> თ.ებრალიძე, დანაშაულის პროვოკაცია, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2008, გვ. 216-243.

<sup>61</sup> თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, მერიდიანი, ტ II, თბ., 2007, გვ. 167.

პროვოკაციის მსურველმა უნდა დაიყოლოს სხვა პირი დანაშაულის ჩასადენად. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე მუხლის სახით არის მოცემული ქრთამის აღების პროვოკაცია და კომერციული მოსყიდვა.<sup>62</sup> აღნიშნული მუხლი დასჯადობას ითვალისწინებთ თუ სახეზეა ორი პირობა. პირველი მოხელეს მისი თანხმობის გარეშე შეუგზავნეს ქრთამი და არ აიღო. მეორე შემთხვევისას კი პირი ატყუებს სამართალდამცავებს, რომ მოხელე სთხოვს ქრთამს. თუ ეს ორი შემთხვევა გვაქვს სახეზე აგენტი აგებს პასუხს წამქეზებლობისათვის.

“დაყოლიება“ შეიძლება სხვადასხვა ფორმით მოხდეს, შეიძლება ეს იყოს მუქარით, ქრთამის მიცემით და ა.შ. ეს კი არ ნიშნავს მაინცდამაინც აქტიურ ქმედებას. მოხელე შეიძლება დათანხმდეს პროვოკატორის შეთავაზებულ წინადადებას. ავტორთა მოსაზრებით “დაყოლიება“ აქტიურ მოქმედებას გულისხმობს და წინადადების შეთავაზებაზე დათანხმება არ განიხილება პროვოკაციად. ვფიქრობ, პროვოკატორს თუ არ სჭირდება ზედმეტი გარჯა მოხელის დასაყოლიებლად ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოხელე არ ღებულობს ქრთამს, ხოლო მას არ უნდა მისი პასუხისგებაში მიცემა. განსხვავება, მუქარას, თხოვნას და წინადადების მიცემას შორის “მხოლოდ ფსიქიკაზე შემოქმედების სხვადასხვა ხარისხშია“<sup>63</sup>

პრობლემას წარმოადგენს იმ სამართალდამცავი მუშაკების დასჯა, რომლებიც აგენტ-პროვოკატორების საქმეს ეწევიან და მოიპოვებენ პირებზე ინფორმაციებს. არაერთხელ გვინახავს ტელევიზიით გადმოცემული ფარული ჩანაწერების ვიდეო მასალები თუ როგორ იღებს პირი დამუშავებულ ფულს ქრთამის სახით. მსგავს შემთხვევებში ქრთამის მიმცემები სწორედ სამართალდამცავი სისტემების წარმომადგენლები არიან. ეს კი იწვევს შიშს და უნდობლობას ადამიანებში, რადგან პოლიციელს ყოველთვის შეუძლია მიუთითოს შემოსულ ოპერატიულ ინფორმაციაზე მექრთამეობასთან დაკავშირებით და ამით შეზღუდონ ადამინის უფლებები, რომ მას არ ჩაადენინებენ დანაშაულს და არ იქნება პროვოკაციის მსხვერპლი. ოპერ-მუშაკის მიერ მოწყობლი სიტუაციის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების კანონიერების საკითხიც დგას. ამ შემთხვევაში მიუთითებენ “მოწამლული ხის“ თეორიაზე, რაც გულისხმობს კანონიერი მტკიცებულებების დაუშვებლობას თუ ის მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით, პროვოკაციის შედეგად.

<sup>62</sup> <http://base.consultant.ru/cons/cgi/online.cgi?req=doc&base=LAW&n=198907&fld=134&dst=101987,0&rnd=0.36428256590835306> (ბოლო გადამოწმება-15.06.2021).

<sup>63</sup> გ.ლონტი და სხვები, კორუფცია საქართველოში: კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2011, გვ. 289

ვფიქრობ, სამართალდამცავების მხრიდან არ ექნება ადგილი პროვოკაციებს თუ დაიცავენ კანონს “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ”<sup>64</sup> ანუ ხელოვნური სიტუაციები მოეწყობა არა უბრალოდ ეჭვის, ვარაუდის საფუძველზე, არამედ კონკრეტული ინფორმაციის, მტკიცებულებაზე დაყრდნობით. მაგალითად, სტუდენტებმა მიმართეს პოლიციას, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი დიპლომის გადაცემისთვის სთხოვდა ქრთამს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში თუ არ მივცემთ ოპერ-მუშაკებს ინფორმაციის გადამოწმების საშუალებას მექრთამეობის შემთხვევები გაიზრდება, რადგან სხვა ბერკეტი სამართალდამცავ სტრუქტურას უბრალოდ არა აქვს. სამართალდამცავი ორგანო ცდილობს დაიცვას იმ ადამიანის კანონიერი ინტერესი, ვინც მიმართავს ქრთამის მოთხოვნასთან დაკავშირებით და მასთან ერთად იცავს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესსაც. აღსანიშნავია ისიც, რომ სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლები არ კმაყოფილდებიან მარტო შემოსული საჩივრით და ცდილობენ უშუალოდ გადამოწმონ ინფორმაცია, რაც გულისხმობს ფულის დანომვრას და ა.შ. მაშინ, როცა ქრთამის აღებაზე გაცხადებული თანხმობასც საკმარისია პირის ბრალდებისათვის. ხოლო, რაც შეეხება მტკიცებულებების ცნობა არ ცნობის საკითხს, თუ სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლები შეეცდებიან ადამიანებს გამოცდა მოუწყონ უსაფუძვლოდ ანუ შეამოწმონ რამდენად დათანხმდება ქრთამის წინადადებას, მაშინ უნდა დაისაჯოს პროვოკატორი, ხოლო ქრთამის ამღები არა, რაც კარგად არის ჩამოყალიბებული რუსეთის სსკ-ში. არგუმენტი, რომ „აქ საქმე გვაქვს არა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მტკიცებულებებთან, არამედ დანაშაულის ჩადენის ფაქტთან“<sup>65</sup> ამ შემთხვევაში არ იქნება სწორი, რადგან სსკ-ის 145-ე მუხლი მოთავსებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე თავში - დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ, რაც გულისხმობს კანონმდებლის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრიორიტეტულობას, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება არ მოუწყონ პროვოკაცია შემდგომი დასჯის მიზნით.

<sup>64</sup>კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ <https://matsne.gov.ge> (ბოლო გადამოწმება-15.06.2021).

<sup>65</sup>გ.დლონტი და სხვები, კორუფცია საქართველოში: კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2011, გვ. 291

## თავი. IV ქრთამის აღების გამიჯვნა მსგავსი შემადგენლობებისაგან

### 4.1. ზეგავლენით ვაჭრობა

ახალი სისხლს სამართლის კოდექსის 338-ე და 339-ე მუხლებში მოცემულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ქრთამის აღებისა და მიცემისთვის. მექრთამეობა ორმხრივი კორუფციული გარიგებაა, სადაც საჯარო მოხელე ყოველგვარი შუამავლის გარეშე თავად იღებს სარგებელს კონკრეტული ქმედების განხორციელებისთვის.

გაეროს „კორუფციის წინააღმდეგ კონვენცია“ ითვალისწინებს „კორუფციული ზეგავლენის“ წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას. კონვენციის მე-18 მუხლით დადგენილია, რომ მონაწილე სახელმწიფოების მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცალკე მუხლად დაწესდეს პასუხისმგებლობა ანგარების მიზნით თანამდებობის პირის ან მასთან გათანაბრებული სხვა პირის მიერ ზეგავლენის ბოროტად გამოყენებისათვის, ანუ კორუფციული ზეგავლენისათვის.

აღნიშნული მუხლის შესაბამისად, აუცილებელია განზრახ დანაშაულად გამოცხადდეს ქმედება, რომელიც გამოვლინდება საჯარო თანამდებობის პირისათვის პირადად ან შუამავლის მეშვეობით დაპირების მიცემაში, შეთავაზებასა ან გადაცემაში რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღების მიზნით. კორუფციული ზეგავლენა, როგორც აღვნიშნეთ, 2006 წლის 25 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებებით მიჩნეული იქნა სისხლის სამართლის დანაშაულად.

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 339<sup>1</sup> მუხლი „ზეგავლენით ვაჭრობა“, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: „საკუთარი ან სხვა პირის ინტერესებისათვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება იმ პირისათვის, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა ასეთი ზეგავლენის ან/და მიღებულ იქნა თუ არა ამ ზეგავლენის სასურველი შედეგი.“<sup>66</sup>

<sup>66</sup>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, მუხლი 339<sup>1</sup>, <https://matsne.gov.ge>



ქრთამის აღება შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდებით განხორციელდეს. შესაძლებელია სახელმწიფო მოხელემ განახორციელოს მის უფლებამოსილებაში შემავალი ქმედება, ან გამოიყენოს საკუთარი ავტორიტეტი და გავლენა შედეგის მისაღწევად. ქრთამის აღების დროს, სახელმწიფო მოხელემ ასევე შესაძლებელია მფარველობა გაუწიოს ქრთამის მიმცემს ან დაფაროს მის მიერ დაშვებული შეცდომები.<sup>67</sup>

ზეგავლენით ვაჭრობისგან ყველაზე ხშირად სწორედ მეორე ტიპის მექრთამეობის გამიჯვნაა რთული. ამ შემთხვევაშიც სახეზე გვყავს სამი მოქმედი პირი - ქრთამის მიმცემი, ქრთამის მიმღები, რომელიც საკუთარ ავტორიტეტსა და გავლენას იყენებს და პირი, რომელზეც ხდება გავლენის გავრცელება. ერთ შეხედვით, თითქოს ამ ორ დანაშაულს შორის არ არსებობს არანაირი განსხვავება. თუმცა ჩვენ ზეგავლენით ვაჭრობის სუბიექტებზე საუბრისას აღვნიშნეთ, რომ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა მხოლოდ კერძო პირებს შეუძლიათ. შესაბამისად, თუ პირი საკუთარ გავლენას ავრცელებს, როგორც საჯარო მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, საქმე გვაქვს ქრთამის აღებასთან. ხოლო, თუ საჯარო მოხელე იყენებს საკუთარ ურთიერთობებს ზეგავლენის გასავრცელებლად, ამ შემთხვევაში იგი არის არა საჯარო მოხელე, არამედ ჩვეულებრივი კერძო პირი.<sup>68</sup>

შესაბამისად, პირველი მნიშვნელოვანი განსხვავება მექრთამეობასა და ზეგავლენით ვაჭრობას შორის გულისხმობს იმას, რომ 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო მოხელე შეიძლება იყოს. ხოლო, 339<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტები მხოლოდ და მხოლოდ კერძო პირები არიან, რომლებიც ამტკიცებენ ან ადასტურებენ, რომ მათ თავიანთი პროფესიული ან სოციალური მდგომარეობით შეუძლიათ გარკვეული ზეგავლენის მოხდენა სხვა პირის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

ზეგავლენით ვაჭრობისას ხდება მესამე პირის გამოყენება. ქრთამის ამღები პირდაპირ იღებს ან ითხოვს პრივილეგიებს, ხოლო ზეგავლენით მოვაჭრე იღებს პრივილეგიას იმისთვის, რომ თავად სხვაზე მოახდინოს გავლენა. მაშასადამე, ტიპიური მექრთამეობა არის ორმხრივი გარიგება, ხოლო ზეგავლენით ვაჭრობა – სამმხრივი.<sup>69</sup>

---

<sup>67</sup> მ.ლევკვიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბ., 2017, გვ. 159

<sup>68</sup> ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2013, გვ. 387-388

<sup>69</sup> მ.ლევკვიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბ., 2017, გვ. 137-138

განსხვავების გამოკვეთისას მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზეგავლენით მოვაჭრე არ არის გადაწყვეტილების მიმღები პირი. იმ სარგებელზე, რომლის მიღებაც პირს სურს, ზეგავლენის მოხდენა მას მხოლოდ საკუთარი ურთიერთობებით შეუძლია. უშუალო გადაწყვეტილებას საკითხთან დაკავშირებით იღებს ზეგავლენის ობიექტი. მექრთამეობის დროს სწორედ ქრთამის ამღებია გადამწყვეტი ფიგურა, რომელსაც თავადვე შეუძლია შესთავაზოს ქრთამის მიმცემს მისი სასურველი შედეგი.

#### 4.2. კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება

OECD-ის მე-6 რეკომენდაცია აქტიური და პასიური მექრთამეობის გამიჯვნასთან ერთად ითვალისწინებს კანონით აკრძალული საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებული ნორმების დახვეწასა და პასუხისმგებლობის ზომის გამკაცრებას. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, პასუხისმგებლობის ზომები მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ კანონით აკრძალული საჩუქრის მიღებისათვის გამკაცრდა და სანქციად დამატებულ იქნა თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე, თუმცა აღნიშნულით უკანონო საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებით ვერ მოხერხდა კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების სრულად აღმოფხვრა. დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ საჩუქრის აღების ფაქტების გამოვლენა და მასზე მონიტორინგის დაწესება, ფაქტობრივად, გამორიცხულია, ვინაიდან კანონით არ არსებობს საჩუქრის აღების ადმინისტრირების მექანიზმი.

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონი თანახმად: „1. „საჩუქარი“ არის საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება ან გაწეული მომსახურება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, რომელიც წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს 2. საჯარო მოსამსახურეებს ეკრძალებათ ნებისმიერი

სახის საჩუქრის ან მომსახურების მიღება, რამაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე”.<sup>70</sup>

კანონში ასახული დადებითი ტენდენციების მიუხედავად, მაინც შეუძლებლად რჩება კანონით აკრძალული საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებული სირთულეების აღმოფხვრა. ამ მიმართულებით მთავარ პრობლემას წარმოადგენს შიდა კონტროლის მექანიზმების არარსებობა. საიას მიერ განხორციელებულმა გენერალური ინსპექციების საქმიანობის კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებთან მიმართებით ქვეყანაში მრავალი პრობლემა არსებობს.

კანონით აკრძალული საჩუქრის შესახებ ნორმა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 1997 წლიდან არსებობს. მოხელის მიერ აკრძალული საჩუქრის მიღება სავსებით შეესაბამება კორუფციას. ამ განმარტებას, რომელიც მოცემულია საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონში „კორუფცია საჯარო სამსახურში არის საჯარო მოსამსახურის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით.“<sup>71</sup>

როგორც უკვე თავდაპირველადვე აღვნიშნეთ ძველ ქართულ წყაროებში სიტყვა „ქრთამი“ საჩუქრის კანონიერი გასამრჯელოს გადახდის და ა.შ. მნიშვნელობითაც იხმარებიდა.

საჩუქარი ადამიანთა შორის ურთიერთობებში ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობის, ყურადღების და მადლიერების გამოხატვის საშუალებაა. ცხადია, სახელმწიფო მოხელეც ადამიანია და მის მიერ საჩუქრის მიღება ყოველთვის არ შეიძლება უკანონო ქმედებად ჩაითვალოს. იმის დასადგენად, თუ როდის არის მოხელის მიერ მიღებული საჩუქარი კანონიერი და როდის უკანონო, უნდა მივმართოთ კანონს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“.<sup>72</sup>

კანონით აკრძალული საჩუქრის გადაცემისას მოხელისაგან საჩუქრის სანაცვლოდ არავითარი კონკრეტული ქმედების განხორციელებას არ ითხოვენ. საჩუქრის გადაცემის მიზნები მომავლისკენაა მიმართული. მას მოხელის გულის მოგება, მისი კეთილგანწყობის მოპოვება სურს, რათა საჭიროების შემთხვევაში საჩუქრის მიღებით მისგან დავაღდებული მოხელის დახმარების იმედი ჰქონდეს. მაგალითად, დაწესებულების ახლად დანიშნულ ხელმძღვანელს თანამშრომელმა

<sup>70</sup>კანონი “საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)

<sup>71</sup> თ. ებრალიძე, კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 340-ე მუხლის კომენტარი. კრებულში „თსუ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომები“, თბ., 2011, გვ. 47

<sup>72</sup> იქვე, გვ. 49

დაბადების დღეზე ძვირფასი ძღვენი მიართავ, რათა მისი კეთილგანწყობა დაიმსახუროს, რაც სამომავლოდ შესაძლებელია გამოადგეს, თუ ძღვენს თან ერთვის მაღალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანის თხოვნა, მაშინ სახეზეა ქრთამის აღება.

ცხადია, გამორიცხული არ არის მოხელეს საჩუქარი გადასცენ ყოველგვარი ქვენაგრძნობების გარეშე. მის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემის და კეთილგანწყობის ნიშნად, მაგალითად, მხატვარმა ცნობილ პოლიტიკოსს - პარლამენტის წევრს, რომელიც მისი გამოფენის დათვალიერებაზე იმყოფებოდა, აჩუქა ძვირადღირებული ნახატი. თუ საჩუქრის ღირებულება კანონით დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს აღემატება, პოლიტიკოსი მაინც აგებს პასუხს სსკ-ის 340-ე მუხლით.<sup>73</sup>

აკრძალულ საჩუქრად არ ჩაითვლება:

ა) სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადაცემული გრანტი, სტიპენდია, ჯილდო, პრემია;

ბ) „დიპლომატიური საჩუქარი“, რომელიც გადაეცემა საჯარო მოსამსახურეს ოფიციალური ან სამუშაო ვიზიტის დროს პროტოკოლით გათვალისწინებული წესით და რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს;

გ) საქართველოს ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოს ან დაწესებულების მიერ საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის პირად საკუთრებაში გადაცემული სიმბოლური ნიშანი ან სუვენირი, რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს და რომელიც მიღებულია ერთი წყაროდან ოფიციალური ღონისძიების ჩატარების დროს;

დ) საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, შეღავათიანი პირობებით გაწეული მომსახურება, რომელიც არ წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს;

ე) საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის ახლო ნათესავის მიერ უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება;

---

<sup>73</sup> თ. ებრალიძე, კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 340-ე მუხლის კომენტარი. კრებულში „თსუ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომები“, თბ., 2011, გვ. 53

ვ) საჩუქრად გადაცემული ნაბეჭდი გამოცემები, გარდა იმ კულტურული ფასეულობებისა, რომლებიც გათვალისწინებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით”.<sup>74</sup>

აღსანიშნავია, რომ ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, მოხელის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის აუცილებელია მან საჩუქარი დაუბრუნოს არა დამსაჩუქრებელს, არამედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საფინანსო სააგენტოს. ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, აქედან გამომდინარე, თუ მოხელემ იცოდა, რომ საჩუქრის ღირებულება აღემატება კანონით დადგენილ ოდენობას და მაინც დაიტოვა იგი, მეორე დღეს კი დაუბრუნა საჩუქრის მიმცემს, ის არ გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. საჩუქრის დაბრუნების ფაქტი შეიძლება მხედველობაში მიიღოს სასამართლომ სასჯელის განსაზღვრის დროს. ვფიქრობ, ამ საკითხთან დაკავშირებით ადრე მოქმედი კანონმდებლობის პოზიცია უფრო მართებული იყო.

სისხლის სამართლის წესის მიხედვით პასუხს აგებს მხოლოდ მოხელე და მასთან გათანაბრებული პირი, რაც შეეხება უკანონო საჩუქრის გადამცემს, მას ქრთამის მიმცემისაგან განსხვავებით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

მართალია, კორუფციის შესახებ კანონი ეხება მოხელის ოჯახის წევრთა მიერ საჩუქრის მიღების წესსა და პირობებს, მაგრამ მათ პასუხისმგებლობაზე არაფერია ნათქვამი სსკ-ის 340-ე მუხლში. ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან, ძირითადად, სამოხელეო დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კოდექსის აღნიშნული მუხლით მოხელის ახლო ნათესავებმა შეიძლება პასუხი აგონ როგორც თანამონაწილეებმა. თუ მოხელემ მათი მეშვეობით მიიღო კანონით აკრძალული საჩუქარი.<sup>75</sup>

განსახილველი დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, დამნაშავეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ იღებს აკრძალულ საჩუქარს. არ არის აუცილებელი, მოხელემ იცოდეს საჩუქრის ზუსტი ღირებულება. საკმარისია, მას შეგნებული ჰქონდეს, რომ იგი კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას აღემატება, როგორც აღნიშნული იყო. თუ მოხელეს საჩუქრის მიღებისას არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა მის ღირებულებაზე და შემდეგ გაიგო, კანონით დადგენილ სამდღიან ვადაში იგი უნდა გადასცეს შესაბამის ორგანოს.

<sup>74</sup> კანონი “საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)

<sup>75</sup> მ.ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბ., 2017, გვ. 371

## თავი V. მექრთამეობა და კორუფციული დანაშაულები საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით.

### 6.2. ევროპის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით

გლობალურ სამყაროში ყველაფერი ურთიერთკავშირშია. კორუფცია ისე ხრავს გლობალური ეკონომიკის სტრუქტურას, როგორც კიბო ადამიანის ორგანიზმს. იგი ახდენს კრიზისების პროვოცირებას, განვითარებულ სახელმწიფოებში ანგრევს მოქალაქეთა კეთილდღეობას, მესამე სამყაროს ქვეყნებში კი ზრდის და ამძაფრებს.

კორუფცია მეტ-ნაკლებად მსოფლიოს ქვეყნებში ვლინდება, უბრალოდ, საჭიროა განვასხვავოთ კორუფცია დაბალ დონეზე, როცა წვრილმანი ჩინოვნიკები მოქალაქეებისაგან იღებენ ქრთამს და კორუფცია მაღალ დონეზე, როდესაც მსხვილი სახელმწიფო მოხელეები იღებენ „ჯილდოს“ ან სხვა სახის წახალისებას. ამასთან განსაკუთრებით, ინტერესს იწვევს ის სახელმწიფოები, რომლებიც წარმატებით ებრძვიან კორუფციას.<sup>76</sup>

**გერმანია.** კორუფციასთან ბრძოლის მიზნით გერმანიაში გაატარეს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხასიათის ღონისძიებები. 1997 წელს ძალაში შევიდა კანონი კორუფციასთან ბრძოლის შესახებ და ერთდროულად შეიტანეს ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში. გაფართოვდა კორუფციული დანაშაულების ჩამონათვალი:

1. სარგებელის მიღება (§331);
2. ქრთამის აღება სამსახურებრივი მოვალეობის ამსრულებლობისათვის (§332);
3. სარგებლის მიღება (§333);
4. ქრთამის მიცემა სამსახურებრივი მოვალეობის ამსრულებლობისათვის (§334);
5. ქრთამის მიცემა და აღება სამეურნეო ბრუნვაში (§299);

<sup>76</sup> გ.დლონტი და სხვები, კორუფცია საქართველოში: კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2011, გვ. 202

6. კონკურენციის რეგულირება კონკურსების ჩატარებისას (§298),

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანეს აგრეთვე მუხლი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში ქრთამის მიცემისა და აღების შესახებ, რომელსაც მანამდე შეიცავდა კანონი დასაბუთებული კონკურენციის წინააღმდეგ (მოსამსახურის მოსყიდვა - §12).

სამინისტროებს და მართვის ფედერალურ ორგანოებს წარედგინა დოკუმენტების პაკეტი სახელწოდებით: „ფედერალური მთავრობის დირექტივა ფედერალური მართვის ორგანოებში კორუფციასთან ბრძოლის შესახებ“.

დირექტივასთან ერთად შემუშავდ რეკომენდაციები „ანტიკორუფციული ქცევის კოდექსის“ დაცვისათვის. რომელსაც თან ახლდა ხელმძღვანელი პირების „საქმიანობის წესები“, ვინაიდან კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ზომების ეფექტურობა და მისი აღკვეთა, გერმანელი კანონმდებლების აზრით, პირველ რიგში, სახელმწიფო სამსახურში მყოფ ხელმძღვანელ პირებზეა დამოკიდებული.

კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს შორის უნდა აღინიშნოს მაღალი სახელმწიფო თანამდებობიდან განთავისუფლებული პირების შრომითი მოწყობის წესი. დადგენილი ვადის განმავლობაში მათ უნდა მიიღონ მთავრობის ნებართვა კერძო სექტორში მუშაობაზე ან კომერციული საქმიანობის წარმოებაზე. თუ მანამდე შეხება ჰქონდათ აღნიშნულთან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ქცევა შეიძლება განიხილება როგორც კორუფციული.

სამსახურის ვადის ამოწურვის შემდეგ გერმანიის სახელმწიფო მოსამსახურემ საიდუმლოდ უნდა შეინახოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თანამდებობრივი უფლებამოსილების აღსრულებისას. სათანადო ნებართვის გარეშე მას უფლება არ აქვს, განაცხადოს ან ჩვენება მისცეს მისთვის ცნობილი ფაქტის ან საქმეების შესახებ სასამართლოშიც კი. ამგვარი სახის ნებართვას იძლევა სამსახურის ხელმძღვანელი. პრესისათვის ინფორმაციის მიწოდება შეუძლია მხოლოდ დაწესებულების სამმართველოს ან საამისოდ უფლებამოსილ თანამშრომელს.<sup>77</sup>

სახელმწიფო მოსამსახურეების მიმართ გაზრდილი მოთხოვნები და შეზღუდვები გერმანიაში კომპენსირდება სათანადო ანაზღაურებით, სამუშაო ადგილის სტაბილურობისა და სამსახურებრივი წინსვლის უზრუნველყოფელი გარანტიებით, ასევე ცხოვრების ღირსეული დონით. ყოველივე ეს განაპირობებს გერმანიის ანტიკორუფციული სტრატეგიის ეფექტურობას.

<sup>77</sup> გ.დლონტი და სხვები, კორუფცია საქართველოში: კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2011, გვ. 202-203

თუმცა, ფიქსირდება ნეგატიური მომენტებიც. გერმანიისა დღემდე არ მოუხდენია რატიფიკაცია გაეროს კორუფციასთან ბრძოლის კონვენციის, რომელსაც ქვეყნის წარმომადგენლმა 2003 წელს მოაწერა ხელი. ამის გამო მთელ რიგ საერთაშორისო ფორუმებში მას მონაწილეობა მხოლოდ დამკვირვებლის როლში შეუძლია.

**საფრანგეთი.** საფრანგეთის ანტიკორუფციული კანონმდებლობა ებრძვის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ჩინოვნიკების თანამდებობრივ დანაშაულებას, ასევე ეწინააღმდეგება იმ პოლიტიკური პარტიების საქმიანობას, რომლებიც უკანონო დაფინანსებისა და საარჩევნო კამპანიის წარმოების მეთოდებს იყენებენ. პირველმა კანონმდებლობამ ასახვა ჰპოვა ჯერ კიდევ 1919 წელს, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანეს მუხლი, რომლითაც სახელმწიფო ჩინოვნიკებს თანამდებობის დატოვებიდან 5 წლის განმავლობაში აკრძალავდათ ემუშავათ იმ კომპანიებში, რომელთაც თანამდებობაზე ყოფნის დროს აკონტროლებდნენ. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა ისჯებოდა 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთითა და ჯარიმით 200 000 ფრანკის ოდენობით. 1946 და 1992 წლებში სახელმწიფო სამსახურის შესახებ წესდების მიღებასთან დაკავშირებით აღნიშნული მუხლით პასუხისმგებლობა კიდევ უფრო გაამკაცრეს.<sup>78</sup>

და მინც, საფრანგეთის კანონმდებლობა უფრო დიდ ყურადღებას უთმობს დასჯის ადმინისტრაციულ და არა სისხლისსამართლებრივ მეთოდებს, რომლის დროსაც იდევნება მთავარი „სახელმწიფო მოსამსახურის პირადი ფინანსური ინტერესებისა და თანამდებობრივი ფუნქციების აღსრულების არამართლზომიერი შერწყმა“. ფრანგი კანონმდებლები უფრო ნაკლებად მკაცრნი არიან, ვიდრე ამერიკელები. ისინი სახელმწიფო მოხელეებისაგან არ მოითხოვენ შემოსავლების შესახებ დეკლარაციის წარდგენას და პროფესიული საქმიანობის შეზღუდვის დაცვაც ჩინოვნიკის სამსახურიდან წასვლის შემდეგ ნაკლებად კონტროლდება. სახელმწიფო მოხელეებს ასევე, უფლება ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში სამსახურებრივი სტატუსის შენარჩუნებით. მათ შეუძლიათ, სახელმწიფო სამსახური შეუთავსონ ადგილობრივი დონის არჩევით თანამდებობას. თუ ზოგადნაციონალურ პარლამენტში აირჩევიან, ისინი ვალდებული ხდება სამსახურიდან აიღონ შევბულება და სადეპუტატო უფლებამოსილების ვადის დასრულების შემდეგ შეზღუდვის გარეშე უბრუნდებიან ადრინდელ თანამდებობას.<sup>79</sup>

<sup>78</sup> გ. დლონტი და სხვები, კორუფცია საქართველოში: კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2011, გვ. 204

<sup>79</sup> იქვე, გვ. 205-206



კორუფციასთან ბრძოლის საქმეში არანაკლებ როლს ასრულებს 1991 წელს ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი სამსახურებრივი „ტრაკვინის“ სახელწოდებით. დღეისათვის „ტრაკვინი“ დაკავებულია საბანკო ქსელში ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული პრობლემების კომპლექსით.

მსოფლიო ბანკის ინსტიტუტის შეფასებით, შემოსავლების თითქმის თანაბარი დონის მიუხედავად, კორუფციის დონე საფრანგეთში უფრო მაღალია, ვიდრე მაგალითად, სკანდინავიურ ქვეყნებში. კორუფციის დონით საფრანგეთი უტოლდება ჩილეს - საშუალო განვითარების ლათინოამერიკულ ქვეყანას.

**ევროპის სხვა ქვეყნები.** განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნიდერლანდები, შვედეთი, დანია, რომლებშიც კორუფცია ქვედა რგოლებში პრაქტიკულად არ არსებობს. აღნიშნულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა სახელმწიფო სამსახურის მაღალი კულტურა, რომელიც ეფუძნება დაბალანსებულ კანონმდებლობას, სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტიან დაფინანსებას და მოსამსახურეთა მაღალ მორალურ პასუხისმგებლობას. საქმე იმაშია, რომ საზოგადოების ცნობიერებაში აქ კულტივირდება ჩინოვნიკის პატივისცემის ხატი, რომელიც ასრულებს მნიშვნელოვან მოვალეობას - ატარებს სახელმწიფო პოლიტიკას და ემსახურება მოსახლეობას. მაშინაც კი, როდესაც ჩინოვნიკი მუშაობს მთავრობაში. მას არ ცვლიან ახალი პრემიერმინისტრის მისვლასთან ერთად. ამგვარად, სახელმწიფო მოხელის ამოცანაა, შეინარჩუნოს მისდამი ლოიალობა სახელმწიფოს და არა კონკრეტული პირის მხრიდან.<sup>80</sup>

კორუფციასთან ბრძოლაში საყურადღებოა ფინეთის გამოცდილება, რომელსაც საერთაშორისო შეფასებით ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ანტიკორუფციული რეიტინგი აქვს. კორუფციის დაბალ დონეს განაპირობებს ძირითადი ანტიკორუფციული პრინციპები, რომლებიც დაცულია კონსტიტუციით.

კორუფციის პრევენციისა და აღკვეთის სახელმწიფო პოლიტიკა გადმოცემულია საერთონაციონალურ პროგრამაში ეკონომიკურ სფეროში დანაშაულთან ბრძოლის შესახებ (1996). სხვა სპეციალიზებული ანტიკორუფციული პროექტები და ასევე სპეციალური სამართალდამცავი სტრუქტურები ქვეყანაში არ არსებობს.

---

<sup>80</sup> გ.დლონტი და სხვები, კორუფცია საქართველოში: კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2011, გვ. 207

ფინეთის სისხლის სამართლის კოდექსში, სახელმწიფო თანამდებობის პირის მიერ კორუფციული დანაშაულის ჩადენისათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა სასჯელი ჯარიმიდან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.<sup>81</sup>

## 6.2. ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის მიხედვით.

ამერიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობას თავისებური სტრუქტურა გააჩნია. იგი შედგება ფედერალური სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და ცალკეული შტატების სისხლის სამართლის კოდექსებისგან. როგორც შტატების, ისე ფედერალური კანონმდებლობა მთლიანობაში ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ერთ და იმავე თანამდებობრივ დანაშაულზე კორუფციის სფეროში. ფედერალური კანონმდებლობის კორუფციული ნორმების ძირითადი ნაწილი ასახულია აშშ-ის კანონთა კრებულზე მე-18 განყოფილებაში.<sup>82</sup>

აშშ-ში თანამდებობის პირთა კორუფცია მოიცავს რიგ არამართლზომიერ ქმედებებს, რომლებიც, ძირითადად, აღწერილია კანონთა კრებულის მე-18 განყოფილების ოთხ თავში:

- 1) თავი მე-11 – „საჯარო თანამდებობის პირთა მექრთამეობა, მათ მიერ არაპატიოსანი გზით შემოსავლების შოვნა და საკუთარი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება“;
- 2) თავი 93-ე - „თანამდებობის პირები და დაქირავებული მოსამსახურეები“;
- 3) თავი 41-ე - „გამომძალველობა და მუქარა“;
- 4) თავი 29-ე - „არჩევნები და პოლიტიკური საქმიანობა“.

დანაშაულის სუბიექტების შესაბამისად გვევლინებიან:

1. უმაღლესი სახელისუფლები ორგანოების თანამდებობის პირი სამთავრობო მოსამსახურეები;
2. დეპარტამენტისა და მათი წარმომადგენლობების თანამდებობის პირები და მოსამსახურეები, რომლებიც ბოროტად იყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას და ანგარების გამო იღებენ უკანონო საზღაურს;
3. ნებისმიერი ფედერალური თანამდებობის პირი და მოსამსახურე;
4. პირები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული საარჩევნო სამართლის სფეროში.

<sup>81</sup> იქვე, გვ. 208-209

<sup>82</sup> Andvig, J.C.; Todorov, B. (2011) Anti-Corruption in Public Procurement. Sofia: Center for the Study of Democracy. 501-502

მექრთამეობა<sup>83</sup> - თანამდებობის პირის მიერ ფულის, ფასეულობის მიღებაა ამა თუ იმ თანამდებობრივი ქმედების სანაცვლოდ. მოცემული დანაშაულის სუბიექტები არიან არა მხოლოდ ქრთამის ამლები, არამედ მისი მიმცემი პირებიც. ქრთამის ამლებად მიიჩნევა სამი კატეგორიის თანამდებობის პირი:

1. საჯარო თანამდებობაზე მყოფი პირები - აშშ-ის კონგრესის წევრები., მუდმივი კომისიების წევრები, აშშ-ის სახელით მოქმედი პირები, დეპარტამენტების, წარმომადგენლობების, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მუშაკები, რომლებიც ოფიციალურ ფუნქციებსა და ვალდებულებებს აღასრულებენ სახელმწიფოს სახელით. აგრეთვე ნაფიცი მსაჯულები.
2. საჯარო თანამდებობის პირთა მოვალეობების შესასრულებლად არჩეული პირები, კანდიდატებად შერჩეული ან უკვე დანიშნულები, თუ ისინი ოფიციალურად გააფრთხილეს მოსალოდნელი შერჩევის ან დანიშვნის თაობაზე;
3. სპეციალური სამთავრობო მოსამსახურეები, რომელთა რიცხვს მიეკუთვნებიან ფედერალური საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, აშშ-ის ნებისმიერი დამოუკიდებელი ორგანოს მოსამსახურეები, რომლებიც მუშაობენ ანაზღაურებით ან მის გარეშე წელიწადში არანაკლებ 130 დღისა.

ქრთამის მიცემისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ნებისმიერ იმ პირს, რომელიც საჯარო თანამდებობის პირს ან კანდიდატს აძლევს, სთავაზობს ან ჰპირდება რაიმე ფასეულობას იმისათვის, რომ:

1. ზემოქმედება მოახდინოს მის ოფიციალურ ქმედებებზე, ანუ მის უფლებამოსილებას დაქვემდებარებული საკითხების, საქმეების, დავები გადაწყვეტაზე;
2. პირობები შეუქმნას, ჩაადენინოს ან დაეხმაროს თანამდებობის პირს სიცრუის ქმედების ჩადენაში ან მოილაპარაკოს მასთან აღნიშნულის თაობაზე;
3. დაიყოლოს თანამდებობის პირი რაიმე მოქმედების ჩადენასა თუ უმოქმედობაზე, რასაც შედეგად მისი კანონიერი ვალდებულებების დარღვევა მჰქვევება.

ქრთამის მიმცემისა და ამლებისათვის სასჯელი გულისხმობს ჯარიმას 10 000 დოლარის ოდენობით ან/და თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით. სასჯელს ექვემდებარება, როგორც თანამდებობაზე უკვე მყოფი, ისე მომავალი მოსამსახურე.

ფედერალური თანამდებობრივი დანაშაულის რიცხვში შედის საბანკო მოსამსახურეთა ქმედებები, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყებობ ფედერალურ საბანკო სისტემას. ბანკების

<sup>83</sup> აშშ-ს კანონთა კრებულის მე-11 ნაწილის § 201

თანამდებობის პირები, დირექტორები ან ნებით დაქირავებული მუშაკები, რომლებიც შედიან ფედერალურ სადაზვერვო სისტემაში ან დაზღვეულები არიან ფედერალური სადაზვერვო კომპანიებისა თუ ნაციონალური სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კორპორაციის მიერ და ბანკის ინსპექტორს სთავაზობენ კრედიტს ან წვრილმან გასამრჯელოს, სჩადიან დანაშაულს, რომელიც ისჯება ჯარიმით 5 000 დოლარის ოდენობით ან/და ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით; ასეთივე სასჯელი მოელით თვით ბანკის ინსპექტორებს, თუ ისინი მიიღებენ აღნიშნულ კრედიტს ან გასამრჯელოს.<sup>84</sup> ნებისმიერი მუშალი ბანკისა, რომელშიც შენატანები დაზღვეულია ფედერალური სადაზვერვო კორპორაციის მიერ. ნაციონალური სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კორპორაციის ან შუალედური კრედიტორების ფედერალური ბანკის მოსამსახურე, რომელიც საკომისიოების ან საჩუქრების სანაცვლოდ ხელს უწყობს კრედიტის გაცემას პირზე, ფირმაზე ან კორპორაციაზე, სჩადიან ანალოგიურ დანაშაულს<sup>85</sup>.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავისებურ სახეობას წარმადგენს პირის მოსყიდვა მისი თანამდებობაზე დანიშვნით. ამ შემთხვევაში, საუბარი არ არის ქრთამზე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ანაზღაურება მიიღება ან გაიცემა მხოლოდ პირის მიერ გავლენის სამომავლოდ გამოყენების შეპირების სანაცვლოდ. ამგვარი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ კერძო პირი, არამედ ფირმა და კორპორაციაც. პასუხისმგებლობა დგება მათთვის, ვინც იხდის და მათთვისაც, ვინც სთავაზობს ან ჰპირდება, რომ გადაიხადოს თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ.

თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ფედერალური კანონმდებლობა მიაკუთვნებს:

1. სახელმწიფო მოსამსახურეთა ქმედებას, რომელიც შეუთავსებელია ძირითად თანამდებობრივ ვალდებულებებთან;
2. ჩინოვნიკთა საქმიანობას, მიმართულს სახელმწიფო ხარჯზე გამდიდრებისაკენ, მათ მიერ ინფორმაციის გამოყენებასა და სპეკულაციაზე.<sup>86</sup>

პირადი გამდიდრების მიზნით თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფარული ფორმის თავიდან ასაცილებლად კანონმდებლობა და საუწყებო წესები ახდენენ იმ სიტუაციების რეგლამენტაციას, რომლებსაც ამერიკული სამართალი აერთიანებს ცნებაში: „ინტერესთა კონფლიქტი“.<sup>87</sup> ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოიშვას:

---

<sup>84</sup> აშშ-ის კანონთა კრებული §212, §213

<sup>85</sup> იქვე, §215

<sup>86</sup> Ю. А. Кузнецов Силинский Ю. Р. Хомутова А. В. Коррупция как социально-правовое явление. М., 2009, с. 100

<sup>87</sup> აშშ-ის კანონთა კრებული, მე-18 ნაწილის, §203-§209

- 1) თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას;
- 2) პირის მოქმედების შედეგად, როცა მან უკვე შეწყვიტა სამსახური სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში.

ამ მოვლენის საშიშროებასა და მის გავრცელებაზე მეტყველებს როგორც თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხის საკმაოდ დეტალური დამუშავება კანონმდებლობაში, ისე ის, რომ აშშ-ის იუსტიციის სამინისტროში მოქმედებს სპეციალური განყოფილება, რომლის მიზანიც ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულ დანაშაულთან ბრძოლაა.<sup>88</sup>

ფედერალური კანონმდებლობა ითვალისწინებს ყოფილი სახელმწიფო თანამდებობის პირთა საქმიანი აქტივობის შეზღუდვას მათი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიდან წასვლის შემდეგ. თუ მოქმედი ჩინოვნიკი „პირადად და არსებითად“ მონაწილეობდა კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტაში, როგორც სამთავრობო თანამდებობის პირი, მას აღარ აქვს უფლება, თანამდებობის დატოვების შემდეგ მსგავსი პრობლემების გადაჭრისას ვინმეს ინტერესები წარმოადგინოს. ეს აკრძალვა მუდმივია და ვრცელდება ნებისმიერ უწყებაზე.<sup>89</sup>

აშშ-ში დასჯადია სახელმწიფო მოხელის მიერ ნებისმიერი ანაზღაურების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებულისა, ეს ქმედებები გაწერილია აშშ-ის კანონთა კრებულის მე-18 ნაწილის 93-ე თავში.

გამოძალვა, როგორც თანამდებობრივი დანაშაულის განსაკუთრებული შემადგენლობა, გამოყოფილია ცალკე თავში. 872-ე პარაგრაფის თანახმად, „აშშ-ის რომელიმე დეპარტამენტის ან წარმომადგენლობის თანამდებობის პირი, აგრეთვე ის, ვინც ასეთად ასაღებს და ეწევა გამოძალვას ან ცდილობს რაიმეს გამოძალვას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან/და ჯარიმით 5 000 დოლარამდე“.<sup>90</sup>

თანამდებობრივმა დანაშაულებებმა, რომლებიც დაკავშირებულია არჩევნებთან ან პოლიტიკურ საქმიანობასთან, შემთხვევით როდი ჰპოვა ასახვა ამერიკის კანონმდებლობაში. აშშ-ში პოლიტიკური საარჩევნო კამპანიები ყველაზე ძვირადღირებულად ითვლება. 29-ე თავში გათვალისწინებულია რომელიმე ასარჩევ თანამდებობაზე კანდიდატის პასუხისმგებლობა, რომელიც თავისი კანდიდატურის მხარდასაჭერად სულერთია ვის ჰპირდება საჯარო ან კერძო

<sup>88</sup> გ.დლონტი და სხვები, კორუფცია საქართველოში: კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2011, გვ. 214

<sup>89</sup> ზოგადი, ორგანიზებული და კორუფციული დანაშაულობების გლობალიზაცია („მრგვალი მაგიდის“ მასალები)/ სახელმწიფო და სამართალი, 2001, N12, გვ. 92

<sup>90</sup> Strategy of United State of America 1999-2003, N122, c. 5

სექტორში თანამდებობაზე დანიშნვას ან დაქირავებული სამსახურით უზრუნველყოფას, პასუხისმგებლობა დგება მათთვისაც, ვინც პოლიტიკური კამპანიის ჩატარებისას სამსახურს ან სხვა სარგებელს ჰპირდება. ამა თუ იმ პირს პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობისათვის, კანდიდატისა თუ პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოს განცხადებების გაკეთებისათვის.

დანაშაულთა ამავე ჯგუფს მიაკუთვნებენ პოლიტიკური თანამშრომლობის მამიებლობას სენატორების, წარმომადგენელთა პალატის წევრების, აშშ-ის მოხელეებისა და სხვა პირთა მხრიდან, როლებიც ხელფასს ან სხვაგვარ ანაზღაურებას აშშ-ის მხრიდან იღებენ და რომლებიც პოლიტიკური მოსაზრებებით პირდაპირ ან ირიბად ცდილობენ მიიღონ ან იღებენ ნებისმიერი სახის შემოწირულობას, ხელმოწერას ან ჯილდოს პოლიტიკური მოსაზრებებით სხვა თანამდებობის პირებთან თანამშრომლობის მიზნით.

ზემოთ ნახსენები აშშ-ის კანონთა კრებულის გარდა, კორუფციის აღკვეთა-აცილებისაკენაა მიმართული სპეციალური კანონები, რომლებიც შეიცავს ეთიკურ და დისციპლინარულ ნორმებს. ასეთებია, მაგალითად სამთავრობო ჩინოვნიკებისა და მოსამსახურეების ეთიკური ქცევის პრინციპები (1990წ.)<sup>91</sup>

თუმცა, აშშ-ს საკანონმდებლო ინიციატივები კორუფციასთან დაკავშირებით აყენებს არამდებლობად ნაციონალური საზღვრების ფარგლებში, არამედ საერთაშორისო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნითაც. აშშ პირველი ქვეყანაა, რომელმაც მიიღო კანონი „საზღვარგარეთის კორუფციული პრაქტიკის შესახებ“ (1977წ.), რომელიც კრძალავს უცხოელ ჩინოვნიკთა მოსყიდვას. სწორედ ამ აქტის დახმარებით და აშშ-ის მხრიდან სხვა ქვეყნებში ანალოგიური კანონის მიღების დაჟინებული ლობირების შედეგად<sup>92</sup> 1997 წლის დეკემბერში მიიღეს, ხოლო 1999 წლის თებერვალში ძალაში შევიდა კონვენცია საერთაშორისო გარიგებების წარმოებისას უცხოელ სახელმწიფო მოხელეების მოსყიდვასთან ბრძოლის შესახებ, რომლებიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უცხოელ ჩინოვნიკთა მოსყიდვისათვის.<sup>93</sup>

ამერიკის მთავრობის მხრიდან კორუფციასთან ბრძოლის კომპლექსურ სტრატეგიას საფუძვლად უდევს კონვენციის დებულებები, რომლებიც მიღებულია ეთგო<sup>94</sup>-ს ჩარჩოებში. აშშ-ის

<sup>91</sup> კანონი „ეთიკის შესახებ სამთავრობო დაწესებულებებში“ (1978)

<sup>92</sup> მსოფლიო ბაზარზე ამერიკული კომპანიების არაკონკურენტუნარიანობის ნეიტრალიზაციის მიზნით.

<sup>93</sup> Why corruption matters (2015) understanding causes, effects and how to address them Evidence paper on corruption January

<sup>94</sup> ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

ადმინისტრაციამ განსაზღვრა კორუფციასთან და საერთაშორისო დონეზე მოსყიდვასთან ბრძოლის ასპექტები და ყოველი მათგანისათვის შეიმუშავა ცალკე პროგრამა, რომელიც გულისხმობს:

1. ეკონომიკური პოლიტიკური რეფორმების გატარებას სახელმწიფოებრივი რეგულირების შესუსტების ჩათვლით;
2. ადმინისტრაციული პროცესების საჯაროობის ამაღლებას;
3. სახელმწიფო აპარატის საქმიანობის გარდაქმნას იმ ქვეყნებში, რომლებშიც ადრე ეკონომიკა მთლიანად სახელმწიფოს მიერ კონტროლდებოდა; ბიუროკრატიული სტრუქტურების შემცირების და საბაზრო ეკონომიკაზე მათი გავლენის შემცირებას;
4. სახელმწიფო ფინანსთა სისტემის რეფორმებისა და ეფექტური საზედამხედველო დაწესებულებების ქსელის შექმნას, რომელთა თანამშრომლებს საბუღალტრო აღრიცხვისა და რევიზიის ჩატარების უნარ-ჩვევები ექნებათ.
5. სასამართლო სისტემის რეორგანიზაციას დამოუკიდებელი სასამართლოების შექმნის მიზნით.
6. კომერციული კანონმდებლობის რეფორმირებას იმ წესების შემუშავებისათვის, რომლებიც შეეხებიან ფასიან ქაღალდებს, აქციონერთა უფლებებს, უძრავ ქონებას, ინტელექტუალურ საკუთრებას, გაკოტრების პროცედურებს, ანტიტრესულ ზომებს და ეკოლოგიურ პოლიტიკას.
7. სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცებას განათლებისა და სამოქალაქო ცნობიერების დონის ამაღლების პროგრამების განხორციელების გზით იმისათვის, რომ გაიზარდოს საზოგადოების გავლენა სახელმწიფო ორგანოების მუშაობაზე. დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი თანადგომის გაძლიერებას.
8. სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის რეფორმირებას შიდა კორუფციის აღმოფხვრისა და ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემის გაზრდის მიზნით.

კანონის თანახმად, პოლიციის ორგანოების ფუნქციებში შედის ყველა მოქალაქის უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვა. ამიტომ, ამ სფეროში კორუფციის პროფილაქტიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. თანამშრომელთა უღირსს საქმიანობაზე არასაკმარისი კონტროლის გამო პოლიციის უფროსთა საერთაშორისო ასოციაციის საკონსულტაციო საბჭომ და სამართალგამოყენებითი პოლიტიკის ეროვნულმა ცენტრმა სისხლის სამართლის იუსტიციის ორგანოების თანადგომის ბიუროსთან ერთად პოლიციურ უწყებათა უფროსებისათვის შეიმუშავეს „კორუფციის პროფილაქტიკის სამოდელო წესები“. გარდა ამისა, აშშ-ში მიღებულია და ზოგადი

სტანდატის სახით ყველა პოლიციურ ქვედანაყოფში ფუნქციონირებს ქცევის კოდექსი პოლიციელისათვის.<sup>95</sup>

აშშ-ში უმაღლეს თანამდებობის პირთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას აწარმოებს დამოუკიდებელი პროკურორი, რომელიც ინიშნება საოლქო ფედერალური სასამართლოს სპეციალური ქვედანაყოფის მიერ ვაშინგტონში. უფრო მეტიც, აშშ-ის კონგრესის კომიტეტებს უფლება აქვთ, გამოიძიონ პრეზიდენტის ან უმაღლესი თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტები.<sup>96</sup>

აშშ-ის იუსტიციის სამინისტროში მოქმედებს განყოფილება, რომლის ძირითადი ამოცანაა თანამდებობის პირთა კორუფციასთან ბრძოლა. ეს განყოფილება ახორციელებს კონტროლს:

- ა) მმართველობის ყველა დონეზე არჩევითი ადა დანიშნვითი თანამდებობის პირების სამსახურებრივ დევნაზე, რომლებსაც ბრალი ედებათ ფედერალური კანონების დარღვევაში;
- ბ) თანამდებობის პირთა საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიებაზე;
- გ) მთავრობაში ეთიკის შესახებ კანონის დებულებების ცხოვრებაში გატარებაზე, რომლებიც განსაზღვრავენ ე.წ. დამოუკიდებელი ბრალმდებლის საქმიანობას.

სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებში კორუფციის გამოძიებისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გამოძიების ფედერალურ ბიუროს, გფბ-ს იურისდიქციას ამ სახის დანაშაულზე ვრცელდება როგორც ფედერალურ, ისე შტატებისა და ადგილობრივი მმართველობის დონეებზე დანიშნვითი და არჩევითი თანამდებობის პირებზე, როცა მათი ქმედებები ფედერალური კანონების დარღვევას ეხება.

---

<sup>95</sup> Nikolaichuk V. (2007) ,Corruption Prevention in US and Canada N10, c. 93-99

<sup>96</sup> Andvig, J.C.; Todorov, B. (2011) Anti-Corruption in Public Procurement. Sofia: Center for the Study of Democracy. 237-239



## თავი VI. კვლევის შედეგები

ჩემი სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს სამოხელეო დანაშაულის პრობლემურ საკითხს, რომელიცაა ქრთამის აღება. მეორე თავში განვიხილე ქრთამის აღებასთან დაკავშირებით სამართლის ისტორიული განვითარების ეტაპები, პირველი ქვეთავი შეეხება მექრთამეობას ძველ ქართულ სასამართლოში. მექრთამეობა ყოველთვის მძიმე პრობლემას წარმოადგენდა საქართველოში და მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობდა მის წინააღმდეგ. ქრთამის აღება გამოხატავდა ისეთ ქმედებას, რაც დანაშაულის გამომხატველია, თუმცა იგი საჩუქრადც კი ითვლებოდა. გამოვიკვლიე, რომ ქართველი მეფეები წიგნებსაც კი გამოსცემდნენ და აღნიშნავდნენ, რომ სამართალი უნდა სუფევდეს, კანონიერად ტარდებოდეს პროცესები და ხაზს უსვამდნენ, რომ ქრთამს არ უნდა დახარბდნენ და არ უღალატონ სამართალს. ხსენებული თავის მეორე ქვეთავში განხილული მაქვს საბჭოთა საქართველოში მექრთამეობა, იგი მეტად გავრცელებული ფორმა იყო. კოდექსებში იყო გაერთიანებული ისეთი ქმედებები, რაც მოიცავდა მექრთამეობას, თუმცა არ იყო ნახსენები ქრთამის აღება. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის შემდგომ მიღებული **ახალი სისხლის სამართლის კოდექსი** უფრო კარგად განვითარებულია და შემუშავებულია წინამორბედთან შედარებით. უკვე დასჯადი იყო ქრთამის აღება, მიცემა და შუამავლობა მექრთამეობაში. აქვე აღვნიშნავ რომ კვლევაში წარმოჩინდა, რომ ამ კოდექსში არ გვხვდებოდა ქრთამის პროვოკაციის შესახებ ნორმა წინამორბედისგან განხვავებით და ეს იყო სწორედ უკვე დიდი წინსვლა.

მესამე თავში განხილული მაქვს ქრთამის აღება მოქმედი კანონმდებლობით. სადაც ყურადღება მაქვს გამახვილებული ქრთამის აღების ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობაზე. სუბიექტურ შემადგენლობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მოტივის და მიზნის არსებობა, იმიტომ, რომ მას ექცევა ყურადღება სასჯელის დანიშვნის დროს.

მეოთხე თავში ყურადღებაა გამახვილებული ქრთამის აღების გამიჯვნაზე მსგავსი შემადგენლობებისაგან. ყურადღება გავამახვილე სსკ-ის 339<sup>1</sup> მუხლზე „ზეგავლენით ვაჭრობა“. განსხვავება გავაკეთე და წარმოვაჩინე მექრთამეობისა და ზეგავლენით ვაჭრობას შორის. მნიშვნელოვანი განსხვავება ეს არის ის, რომ ზეგავლენით მოვაჭრე გადაწყვეტილებას არ იღებს, ზეგავლენის ობიექტი იღებს, რაც შეეხება მექრთამეობას ქრთამის ამღებია გადაწყვეტი პიროვნება.

რაც შეეხება, კანონით აკრძალული საჩუქრების მიღება - ვხვდებით ამ ფაქტს და დღეისთვის მოქმედი კანონმდებლობით, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ საჩუქრის აღების ფაქტების გამოვლენა და შესაბამისად მონიტორინგი გამორიცხულია, რადგან არ არსებობს საჩუქრის აღების ადმინისტრირების მექანიზმი. ამასთანავე ქვეთავში საუბარი მაქვს თუ რა საჩუქრები არ ითვლება აკრძალულად.

კორუფციის განხილვისას, რომელიც ყველა საზოგადოებაში გვხვდება თვალსაჩინო გახდა და კვლევაში კარგად გამოიკვეთა, რომ საქართველოც ამავდროულად კორუფციის სხვადასხვა ფორმის გამოვლინებით გამოირჩევა და იგი რამოდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. გამოვიკვლიე და გამოვკვეთე ის ფაქტი, რომ არსებობს მექრთამეობის და მომიჯნავე კორუფციული ხასიათის დანაშაულებების რიგი მიზეზები და პრობლემები.

## დასკვნა

ქრთამი განუყოფელად არის დაკავშირებული კორუფციასთან. თავის მხრივ, კორუფციის შესახებ საკმაოდ დიდი ინფორმაციაა იურიდიულ ლიტერატურაში. მათ შორის არაერთი შიდა თუ საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტი, კონვენცია, ხელშეკრულება და ა.შ. აწესრიგებს კორუფციის პრევენციასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. კორუფციის ერთი, უნივერსალური განმარტება არ არსებობს. ეს არ არის დანაშაულის ერთი რომელიმე შემადგენლობა, ის არის დანაშაულთა მთელი კომპლექსი და ამავდროულად სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენა. ზოგადად, კორუფცია არის გარკვეული მატერიალური უპირატესობის მიღებისათვის კონკრეტული პირისა თუ პირთა ჯგუფისთვის გარკვეული უპირატესობის მინიჭება.

საქართველოს კანონით საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ, კორუფცია განმარტებულია, როგორც საჯარო მოსამსახურის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობების გამოყენება, კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, ასევე ასეთი სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა. შესაბამისად, კორუფცია პირდაპირ აზიანებს სახელმწიფო ინტერესებს და არსებითად აფერხებს სახელმწიფო აპარატის მიერ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას, არღვევს ადამიანის უფლებებს (პირთა შორის თანასწორობას) და საბოლოოდ აფერხებს მთლიანად ქვეყნის განვითარებას. სწორედ ამიტომ, ყველა ქვეყნის სისტემა მაქსიმალურად ცდილობს, შექმნას ისეთი რეჟიმი, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს კორუფციის რისკებს.

საქართველო, საკმაოდ ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყანაა და შესაბამისად, როგორც ასეთი განვითარების პროცესში მყოფი ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი, კორუფცია საკმაოდ აქტუალური საკითხია. არანაკლებ მძიმე პრობლემა იყო კორუფცია საბჭოთა საქართველოში. 2003 წლიდან, კორუფციასთან ბრძოლისთვის საქართველომ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო, რომელიც საგანგებო რეფორმებში გამოიხატა. 2004 წლიდან 2006 წლამდე საქართველო კორუფციასთან ბრძოლის სფეროში არსებულ ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტს შეუერთდა, რითაც ეს ნორმები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ნაწილი გახდა. ამან კი ავტომატურად გამოიწვია არსებითი ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.

2008 წელს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილებები და შეიცვალა ნორმები, რომლებიც კორუფციულ დანაშაულებს აწესრიგებდა. კერძოდ, ცვლილება აისახა ამ ქმედებების შემადგენლობაზე.

2008-2011 წლებში კი შეიცვალა სამოხელეო დანაშაულის თითქმის ყველა შემადგენლობა. მათ შორის, დაიხვეწა კოდექსის 338-ე და 339-ე მუხლები, გაფართოვდა აღნიშნული ნორმების მოქმედების არეალი. სამოხელეო დანაშაულთა რიცხვში გაჩნდა ახალი შემადგენლობა – ზეგავლენით ვაჭრობა. ეს ცვლილებები განპირობებული იყო საერთაშორისო კონვენციებით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებითა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებით

როგორც შესავალ ნაწილში ავღნიშნეთ, საქართველო, თავისი უახლესი ისტორიის განმავლობაში, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე კორუფციულ ქვეყნად ითვლებოდა და სხვადასხვა კომპეტენტური ორგანიზაციების შეფასებებში სავალალო მაჩვენებლებით გამოირჩეოდა. მნიშვნელოვანია, ის ფაქტი, რომ უკანასკნელი წლებში ქვეყანაში მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, რაც აისახება სხვადასხვა საერთაშორისო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის შეფასებებში. მიუხედავად ამ პოზიტიური ცვლილებებისა, კორუფციის პრობლემა საქართველოში კვლავაც აქტუალურია. კორუფციასთან ბრძოლის შეუქცევადობა აქტუალურია ქვეყნის განვითარებისათვის და იგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროცესია. ამდენად, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ხელისუფლების მიერ აღებული ვალდებულებების კონტროლი და ამ სფეროში საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან მიახლოების შეფასება. სახელმწიფო თანამდებობის პირები და კორუფცია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, სახელმწიფო თანამდებობის პირების დანაშაულებრივი საქმიანობა უმრავლეს შემთხვევაში უკავშირდება კორუფციას.

## გამოყენებული ლიტერატურა

### ქართული ლიტერატურა

1. აბრამიშვილი ლ., ქრთამი ძველ ქართულ სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2008;
2. აბრამიშვილი ლ., ქრთამი ძველ ქართულ სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2008;
3. გ.ღლონტი და სხვები, კორუფცია საქართველოში: კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2011;
4. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013;
5. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2013;
6. გამყრელიძე ო., სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989;
7. დვალიძე ი. და სხვები, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007;
8. დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013;
9. დოლიძე ს., სამართალი ვახტანგ მეექვსისა, თბ., 1981;
10. ებრალიძე თ., მექრთამეობის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, თბ., 2019;
11. ებრალიძე თ., კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 340-ე მუხლის კომენტარი. კრებულში „თსუ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომები“, თბ., 2011;
12. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბ., 2017;
13. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბ., 2016;
14. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბ., 2009;
15. მაყაშვილი, ტყეშელიაძე, პასუხისმგებლობა მექრთამეობისთვის, თბ., 1964;
16. ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993;

17. სურგულაძე ლ., საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორია (1921-1922წწ.), თავდაპირველი რედაქცია, თბ., 1979;
18. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013;
19. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ.1, მოსეს სამართალი, თბ., 1963;
20. ჩიქობავა ა., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986;
21. ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, დისერტაცია. თბ., 2014;
22. ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015;
23. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007;
24. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, მერიდიანი, ტ II, თბ., 2007;
25. ხარანაული ლ., დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი, წიგნში: „სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში“, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, თბ., 2013;
26. ხეცურიანი ჯ., დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, თბ., 2006;
27. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ VI, თბ., 1982, გვ.108

### უცხოენოვანი ლიტერატურა

1. Andvig, J.C.; Todorov, B. (2011) Anti-Corruption in Public Procurement. Sofia: Center for the Study of Democracy;
2. Strategy of United State of America 1999-2003, N122;
3. Why corruption matters (2015) understanding causes, effects and how to address them Evidence paper on corruption January;
4. Nikolaichuk V. (2007) ,Corruption Prevention in US and Canada N10;
5. Ю. А. Кузнецов Силинский Ю. Р. Хомутова А. В. Коррупция как социально-правовое явление. М., 2009,
6. Acemoglu, D.; Johnson, S. (2005) Unbundling Institutions. Journal of Political Economy 113(5)
7. Andvig, J.C.; Todorov, B. (2011) Anti-Corruption in Public Procurement. Sofia: Center for the Study of Democracy.
8. Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch, 2.Aufl., § 37, Rn. 54;
9. Chand, Sheetal K.; Moene, Karl O. (1999) Controlling Fiscal Corruption. World Development 27(7):

10. Why corruption matters (2015) understanding causes, effects and how to address them Evidence paper on corruption January

## ნორმატიული მასალა

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2021 წლის მდგომარეობით
2. კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, 2021 წლის მდგომარეობით
3. კანონი “საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ 2021 წლის მდგომარეობით
4. კანონი „ეთიკის შესახებ სამთავრობო დაწესებულებებში“ (1978)
5. აშშ-ს კანონთა კრებული
6. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „კორუფციის წინააღმდეგ“ (2008) დღეის მდგომარეობით
7. „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონი (2002) დღეის მდგომარეობით
8. „მთავრობის N443 დადგენილება - საქართველოს ევროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ”

## ვებ გვერდები

[base.consultant.ru](http://base.consultant.ru)

[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)